# თავისუფალი საქართველო

№ 11

26 მაისი - 1 ივნისი
1995 წ.

ფასი 1000 რუბლის
შესაბამისი კუპონი

ინდექსი 66421
სარეგისტრაციო მოწმობის
№ 0441

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)


ეროვნული ბიბლიოთეკა

## რედაქტორის სვეტი

ლამაზი, კეთილი ქვეყანა საქართველო ორ ვილიზაციას, აღმოსავლურსა და დასავლურს რის არსებობს ისტორიის დასაბამიდან.

არსებობს უცნაურად ამტანი, ჭირთამძლე, მუდამ ეთესის მოლოდინში - მხნე და ხალისიანი.

ეს მშვენიერი ქვეყანა მერამდენე საუკუნეა ოდება თავის ჟამს. იმგვარ პირობებს, როცა მყაროში შესაძლებელი გახდება პატარა და დი ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობა.

სანამ ეს მოხდება, საქართველო, კეთილი, ლამაზი ქვეყანა თავს ირთობს ოცნებებით, სამყაროს რ მივიწყებული გმირობის განსაცვიფრებელი ტორიებით. ცხოვრობს მხოლოდ თავისთვის მიღები ცხოვრების წესით, სადაც არსებობის ბუნრივ პირობად აუცილებლად იგულისხმება სიყვული, სამშობლოს თაყვანისცემა, უფლის შიში, ვთის რწმენა; ლაპარაკობს მხოლოდ თავისთვის აგებ, უცნაურ ენაზე და მღერის სიმღერებს, მლის ძალას მოვარდნილი მეწყერი თუ დრება.

ეს მშვენიერი, კეთილი ქვეყანა მფოთავს, რგავს, ეძიებს სამართლიანობას და ყველა დროს ათლის პატარა გამონათებას ისეთი აღფრთოვბით ხვდება, თითქოს არ არსებობდეს უმძიმესი უნეების გამოცდილება მტკივნეული განტევება.

1921 წლის 26 მაისი - ერთი ასეთი გამონათება. ესასწაული, რომელიც არ შედგა, ჩაიხშო ხლში და სისასტიკეში.

1992 წლის 9 აპრილი - ასეთივე ნაღვლიანი ესასწაული. კიდევ ერთი თავგანწირული სუსკვეთება აღადგინო სამართლიანობა, მოიპოვო ვისუფლად არსებობის უფლება, იცხოვრო სამროსთან ჰარმონიაში, იმ კანონებთან შეთანხმებით, მელიც შენთვის ბუნებრივია.

დამოუკიდებლობის ორი თარიღი, რომელიც ებს ერთმანეთს თანაარსებობს და ... მომავალს უქმნის საფუძველს.

აქედან ერთი - 26 მაისი, ნებადართული, ალბათ, დროის ხანგრძლივობის გამო, რომელიც მანდელ განცდებს გვაშორებს.

ჩვენ ისტორია ვერაფერს გვასწავლის. დღემდე ინდელი შეცდომებით ვცხოვრობთ. ერთიდაიგივე ცხი შემაშფოთებლად მეორდება. მერამდენედ ება, რომ ჩვენსავე ზეიმზე სტუმრადაც კი არვინ ოდება.

ალლუმის ჩატარებას რუსული ტანკებით აპებენ, საზეიმო სხდომას დახურულ დარბაზებში თავენ, გასართობად დაქირავებულ მუსიკოსებს ვენ, მილოცვებს სხვისგან, უცხოეთიდან ელიან. მწაგებულ ქვეყანაში საშიშად დაგრუხუნებენ ის ჯარისგან სამადლოდ ნათხოვარი ტანკები. ი ალლუმისთვის ემზადება ხელისუფლება, ლის ერთადერთი წარმატება სამი წლის ილზე საკუთარი ხალხის დაბეჩავებაა. ყველა მიზანი ამ გამარჯვებას გადაჰყვა.

1995 წლის მაისი ილევა. თბილისი უცნაური, ადი დროშებით აუჭრელებიათ, ალბათ, ჰგო, რომ ამ სხვადასვა ზომის ალმების ნაირფვნება ერთადერთი სასურველი დროშის შინდის ს გააფერმკრთალებს.

ვერც ჩვენს მტრებს ასწავლა ისტორიამ ვერაფი.

საქართველოს მორევა შეუძლებელია.

# მერაბი - თეთრი არწივი
# საქართველოს დაუმორჩილებელი სული

**1992 წლის 26 მაისს მერაბის საფლავთან ერთადერთი გვირგვინი იდო: "საქართველოს საამაყო შვილს მერაბ კოსტავას ზვიად გამსახურდიასგან. გროზნო. 1992. 26 მაისი".**
**ეს წარწერა მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმში ინახება.**



ალბათ, არ არის შემთხვევითი, რომ ყველა ეროვნული დღესასწაული საქართველოში ერთი კონკრეტული მოვლენის ფარგლებს სცილდება და მრავალმხრივ ღირსშესანიშნავ თარიღად იქცევა ხოლმე. ესაა მანიშნებელი იმისა, რომ, მართლაც, უწყვეტი და მისტიური კავშირი არსებობს საკრალურ წარსულსა და ჰეროიკულ აწმყოს შორის. ამ კავშირის დარღვევისა და პროფანირების მუდმივი მცდელობა ამა თუ იმ მოვლენას კიდევ უფრო დიადი შარავანდედით მოსავს და უკვდავებისთვის ამზადებს. სწორედ ამ მარადიულ კავშირზე წერდა ილიაც...

ყველა დიდებულ მოვლენას ერის ცხოვრებაში ეპოქის შესაბამისად გააჩნია პოტენცია - გახდეს უფრო უდიდებულესი. ამგვარად იყრის თავს ერთი თარიღის გარშემო რამდენიმე მოვლენა. და ასეთი კრებითი დღესასწაულები, საბედნიეროდ, მრავლადაა ქართლის ცხოვრებაში.

26 მაისს, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღეს დაიბადა ჩვენი ეროვნული გმირი მერაბ კოსტავა და ამავე დღეს პირველად საქართველოში ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები. მართლაც, სიმბოლურად დაუკავშირდნენ ერთმანეთს მერაბი, ზვიადი და საქართველო, დაუკავშირდნენ მარადიული უწყვეტი ძაფებით დროისა და სივრცის მიღმა.

მარშირებენ სატახტო ქალაქში იმპერიის ტანკები და მათზე მოკალათებული მეომრის ღირსებაშელახული ქართველი გვარდიელები და იმ 26 მაისისთვის ემზადებიან, რომელიც არ იციან მერაბმა, ზვიადმა და საქართველომ.

## ოტო ფონ ჰაბსბურგი:
# "შევარდნაძე სამხედრო დამნაშავეა"

გერმანულ პრესაში, აგრეთვე ევროპარლამენტის ბიულეტენში გამოქვეყნდა ევროპარლამენტის პრეზიდიუმის წევრის, კონსერვატიული პარტიების პანევროპული გაერთიანების პრეზიდენტის, დოქტორ ოტო ფონ ჰაბსბურგის მიერ 1995 წლის 6 აპრილს ევროპარლამენტის სესიაზე წარმოთქმული სიტყვა.

"ბატონო პრეზიდენტო, სწორედ ახლახანს ამერიკაში სიკვდილით დასჯის შესახებ იყო საუბარი. მაგრამ გაცილებით მწირი იყო მსჯელობა იმის შესახებ, რომ სხვა სახელმწიფოთა სინდისზეა სიკვდილის განაჩენის ბევრად უფრო სასტიკი სახით აღსრულება, ვიდრე შეერთებულ შტატებში. მე საქართველოზე მოგახსენებთ, სადაც სამ პიროვნებას, რომლებიც ჯერ სასტიკად, არაადამიანურად აწამეს (ამის შესახებ არსებობს აქტები, რომლებიც დასკვნას ერთვის), ხოლო შემდეგ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს; სადაც ბევრ სხვა პიროვნებას წმინდა პოლიტიკურ საფუძველზე ხანგრძლივი ვადით პატიმრობა მიესაჯა. და, მიუხედავად ამისა, ბევრი ჩვენი ხელისუფალი ბატონ შევარდნაძეს, ამ სამხედრო დამნაშავეს, რომელმაც ასეთი საქმეები ჩაიდინა, კვლავ დემოკრატს უწოდებს. ერთხელ და სამუდამოდ, ნათლად უნდა ითქვას, რომ საქართველოში უსაშინლესი დიქტატურაა გამეფებული!".

# ქრონიკა

## B.B.C.

9 მაისი

თეირანში ათასობით სტუდენტმა მოაწყო საპროტესტო მიტინგი ემბარგოსთან დაკავშირებით აშშ-ს საელჩოს წინ. მათ დაწვეს აშშ-ის დროშა.

კოლი არ დაესწრო არცერთ სადღესასწაულო ღონისძიებას მოსკოვში. ამერიკელებმა თხოვეს ელცინს აღლუმზე არ გამოეყვანათ ჩეჩნეთში მებრძოლი ჯარი

## რადიო "თავისუფლება"

9 მაისი

გერმანიის თავდაცვის მინისტრის რუჰეს განცხადებით რუსეთს არა აქვს ვეტოს უფლება ნატოს გაფართოებაზე აღმოსავლეთის მიმართულებით. რუჰე თვლის, რომ რუსეთი გზაჯვარედინზეა. ვერ გადაუწყვეტია რომელი გზა აირჩიოს - შინაური რეფორმების თუ გარე ექსპანსიის გზა.

10 მაისი

ინტერფაქსის ცნობით დუდაევი დაინტერესებულია მოსკოვთან სამშვიდობო მოლაპარაკებაში.

ქლინტონმა დაამთავრა ოფიციალური ვიზიტი უკრაინაში. კიევმა უარი თქვა ბირთვული იარაღის გავრცელებაზე, რითაც ქლინტონის მოწონება დაიმსახურა. მან მაღალი შეფასება მისცა უკრაინას და ის გამოაცხადა მნიშვნელოვან პარტნიორად.

12 მაისი

რუსეთი უარს ამბობს პოლონეთის, ჩეხეთის, უნგრეთისა და სლოვაკიის ნატოში გაწევრიანებაზე.

"თავისუფლება"

ელცინმა განაცხადა, რომ მოსკოვი დათანხმდა გაზის ცენტრიფუგების პუნქტების ამოღებაზე, მაგრამ ირანთან ხელშეკრულების მთლიანად დარღვევაზე უარს ამბობს. ქრისტოფერის განცხადებით ეს პუნქტები კონტრაქტის ყველაზე სახიფათო ნაწილი იყო. (გაზის ცენტრიფუგები გამოიყენეს რადიოაქტიური ნივთიერებების გასამდიდრებლად).

"თავისუფლება"

გაზეთი "ლიბერასიონი" თვლის, რომ ამერიკა რუსეთს შორის ცივმა ნიავმა დაუბერა. ეს გამოწვეულია რუსეთ - ირანის ურთიერთობითა და ჩეჩნეთის ომით.

## B.B.C.

- ჟაკ შირაკს, საფრანგეთის ახლად არჩეულ პრეზიდენტს, გადაწყვეტილი აქვს გამოხატოს ძლიერი პროტესტი ჩეჩნეთის ომთან დაკავშირებით.

## რადიო "თავისუფლება"

10 მაისი - ქართული რედაქცია

გაეროს სხდომებზე განიხილებოდა საკითხი გაეროს სამშვიდობო ჯარისთვის საქართველოში მანდატის გაგრძლებაზე.

10 მაისს, ოთხშაბათს საქართველოს ახალგაზრდობის ასოციაციამ დაგეგმა შეხვედრა დემურ მიქაძესთან, შეხვედრა გადაიდო მიქაძის გამოუცხადებლობის გამო. ასოციაციამ ისარგებლა შეხვედრით და ისაუბრეს თემაზე "ახალგაზრდობა და სექსი". დამსწრეთაგან 1%-მა მხარი დაუჭირა ჰომოსექსუალიზმს, 1% -მა ლესბიანიზმს და 92% -მა ტრადიციულ სექსუალურ ურთიერთობებს.ილაპარაკეს პროსტიტუციის ლეგალიზაციაზე.

კუკიის სასაფლაოზე წმ. ნინოს ეკლესიიდან გაიტაცეს ვერცხლის ჯვარი და რამოდენიმე ათასი რუბლი.

გალის რაიონში, სოფ I გალში აფხაზებმა სახლის წინ დახვრიტეს ვანო ინჯია და სევერიან მალაზონია (ვეტერანები)

"მხედრიონის" პრესსამსახურმა ჩაატარა პრესკონფერენცია. პრესცენტრის თავმჯდომარემ დოდო გუგეშაშვილმა განაცხადა, რომ ირღვევა პოლიციის მხრიდან ადამიანის უფლებები. სანქციით მათ უნდა აეყვანათ 22 კაცი თელავში და დააპატიმრეს 46, რომელთაც ბრალდება თავად შეუთითხნეს, კახეთის რეგიონი არ აპირებს იარაღის ჩაბარებას. მხედრიონის ნაწილი კახეთის ტყეებშია.

## რადიო "გერმანიის ტალღა"

13 მაისი

ევროპის სააგენტოებმა ყველამ ერთხმად გადასცა ელცინის არაგულწრფელი განცხადება: ჩეჩნეთში ფედერალური ჯარები არ აწარმოებენ საომარ მოქმედებას. უცხოეთის სააგენტოების აზრით განცხადება კეთდება მაშინ, როცა მთელი ევროპა უყურებს ჩეჩნეთის ომის დოკუმენტურ კადრებს. უცხოელი ჟურნალისტები თვლიან: ელცინის ეს განაცხადება არის ძველი "კეთილი" საბჭოური დროის შეხსენება, როცა ხელისუფლების სათავეში მუდმივი ტყუილი ნორმად იყო გამოცხადებული

# მიმართვა ქართველი ერისადმი, აფხაზეთში დისლოცირებული ყველა ქართველი მეომრისადმი

უკანასკნელ ხანებში სულ უფრო და უფრო ცხადი ხდება, რომ ე. შევარდნაძის დიპლომატიური თამაში აფხაზეთის პრობლემის გარშემო მიზნად ისახავს კაპიტულაციას აფხაზი სეპარატისტებისა და რუსეთის იმპერიალისტური ძალების წინაშე.

მზადდება ე. წ. "ცხინვალის ვარიანტი", სამშვიდობო ძალების შემოყვანა კონფლიქტის ზონაში და სოხუმის ჩაბარება, რასაც დაჟინებით მოითხოვს შევარდნაძისაგან რუსული და აფხაზური მხარე.

ე. შევარდნაძე ბუნდოვნად საუბრობს აფხაზეთის რაღაც "დემილიტარიზაციაზე", კონფლიქტის ზონიდან ყველა ჯარების გაყვანაზე, რაც არარეალურია და შესაძლოა გამოყენებულ იქნას მტრის მიერ გადამწყვეტი სტრატეგიული უპირატესობის მოპოვებისათვის.

ჯერ კიდევ ელცინ-შევარდნაძის შეხვედრისას დაიგეგმა სოხუმიდან მძიმე ტექნიკისა და არტილერიის გაყვანა, რაც ნიშნავს სოხუმის ჩაბარებას. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ბ. პასტუხოვის მიერ შემოთავაზებული ე. წ. "სამმხრივი ხელშეკრულების" გეგმაც სწორედ ამას ითვალისწინებს.

სოხუმიდან ქართული ჯარის გაყვანა ნიშნავს ქართველი მოსახლეობის გაყვანას, ვინაიდან შეიარაღებული ძალების 93 პროცენტს ადგილობრივი მოსახლეობა შეადგენს. სოხუმის ჩაბარებას მთელი აფხაზეთის ჩაბარება მოჰყვება, ხოლო ყოველივე ამას - ქართული მოსახლეობის არნახული გენოციდი და დეპორტაცია.

მე მოვუწოდებ აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებულ ყველა ქართველ მებრძოლსა და მეთაურს, სრულიად საქართველოს მოსახლეობას: არ დაემორჩილოთ ე. შევარდნაძისა და მისი კომუნისტური ხუნტის ბრძანებებს, არ დათმოთ აფხაზეთი - ძირძველი ქართული მიწის - არც ერთი გოჯი, არ ჩააბაროთ მტერს უკვე მოპოვებული პოზიციები, აღადგინეთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, გახსოვდეთ, რომ საქართველოს რესპუბლიკის საზღვარი მდინარე ფსოუზე გადის!

ღმერთი და სამართალი ჩვენთან არს, ჩვენ გავიმარჯვებთ!

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია**
**1993 წლის 20 ივლისი**

გაზ. "აღდგომა", N25, 31 ივლისი, 1993

# აფხაზეთის ტრაგედია

აფხაზეთის პრობლემა კვლავ მოუგვარებელი რჩება. ხალხი რაღაცას ელოდება. ეს მოლოდინიც სხვადასხვაგვარია. ზოგს კიდევ დარჩენია იმედი, რომ შევარდნაძე ჩააწყობს საქმეს მოსკოვში და გლობალური პოლიტიკის დღევანდელი ტენდენციების ოსტატურად გამოყენებით დააბრუნებს ლტოლვილ ქართველობას მშობლიურ კუთხეში და აღადგენს საქართველოს იურისდიქციას ამ პროვინციაში. ზოგს ეს იმედიც გადაწურა და აფხაზეთის დაკარგვას შერიგებული ახლა, უბრალოდ, არსებული მდგომარეობის იურიდიულ გაფორმებას ელოდება. ძნელი სათქმელია, თუ მოსახლეობის რომელი კატეგორიის მდგომარეობაა უფრო მძიმე და სავალალო. რომელია უარესი- საკუთარ უსუსურობაში საკუთარსავე თავთან გამოტყდომა თუ არარეალური, ყალბი იმედების ტყვეობაში ყოფნა. ალბათ, ეს უკანასკნელი, ვინაიდან რეალობის აღქმა, ყველაზე მწარე და დამამცირებელიც კი, გვიტოვებს შანსს მდგომარეობიდან გამოსვლის მოსაძებნად, ხოლო ყალბი დაპირებების იმედად ყოფნა არის ის პასიური მდგომარეობა, რომლის უცილობელი შედეგი ყოველთვის ყოფილა და მომავალშიც იქნება დაბეჩავება და მონობა. ხალხის სულიერად გატეხვის ეს ხერხი, ანუ მოკლედ რომ ვთქვათ - ტყუილი, ალბათ, ისევე ძველია, როგორც თავად კაცობრიობა.

ხალხის მოტყუების კლასიკური მაგალითი სახეზეა დღეს აფხაზეთში. იგი ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა ფსოუს წყალს მოწყურებული ყარყარაშვილი და მისი გვარდია აფსუებმა თავიანთ დერეფანში გაატარეს. ქართველი გვარდიელები ფსოუმდე არ მისულან; ისინი მიუშვეს და რომ ეს სწორედ ასე იყო, დაადასტურა მოვლენების შემდგომმა განვითარებამ. გვარდიელთა ამ ექსპედიციამ თუკი ვინმე მოატყუა, ისევ აფხაზეთის ქართული მოსახლეობა და თავად გვარდიის მებრძოლები. თურმე რა ადვილად შეიძლება ერთი გასროლით ორი კურდღლის მოკვლა. მისთვის, ან მათთვის, ვინც დაგეგმა ეს აქცია, არც ქართველი მოსახლეობის სიფხიზლე და ბრძოლისუნარიანობა იყო ხელსაყრელი და არც ქართული გვარდიისა. ამით დაიწყო საქართველოს მმართველი ხუნტის ეს სისხლიანი ილუზიონისტობა აფხაზეთში, რომელსაც მოჰყვა უმძიმესი შედეგები საქართველოსთვის და რომელსაც ბოლო კიდევ არ უჩანს.

ბევრს ახსოვს, ალბათ, ტელევიზიით ნანახი სულისშემძვრელი კადრები თბილისის აეროპორტიდან. გაგრის სასაკლაოს გადარჩენილ, დაჭრილ-დასახიჩრებულ მებრძოლებს, რომლებიც ვერტმფრენით გამოაფრინეს თბილისში, ყველას, როგორც ერთს პირზე ეკერა სიტყვა "მოგვატყუეს". ისინი მოატყუეს, რომ ექნებოდათ ზურგი, რომ ექნებოდათ ტყვია-წამალი, რომ ექნებოდათ მხარდაჭერა. ზოგიერთი მათგანი დათუაშვილსს დებდა ბრალს, ზოგიც კიდევ სხვას ემუქრებოდა ღალატისთვის ანგარიშსწორებით. მთავარი კი, რაც ყოველ მათგანში იგრძნობოდა, იყო გულგატეხილობა და სასოწარკვეთა.

შემდეგ იყო ლტოლვილი სოხუმელების უკან დაბრუნება აბსურდული დაპირებების იმედად; გუმისთის ფრონტიდან ქვემეხების მოხსნა და ფოთში გატანა, ხოლო მათი ჩახმახების რუსეთის სამხედრო ძალებისთვის ჩაბარება შესანახად. ყველაფერი ეს კი მხოლოდ და მხოლოდ რაღაც შეთანხმებებისა თუ გარიგებების იმედად. ყოველივე ამის ლოგიკური შედეგი კი არის ქართველებისგან დაცლილი სოხუმი და ლტოლვილი მოხუცების, ბავშვებისა და ქალების გვამებით მოფენილი (კოდორის ხეობის) თოვლიანი ბილიკები.

აფხაზეთის ტრაგედიის მთავარი დამნაშავენი, რომლებიც უვნებელნი გადაურჩნენ აფხეზეთის სასაკლაოს, ახალ-ახალი დაპირებებით იყოლიებენ მოსახლეობას. "მე არა ვთვლი, რომ აფხაზეთი დაკარგულია"-მრავალმნიშვნელოვნად აცხადებს შევარდნაძე; "ჩვენ ძალით, შევალთ სოხუმში"-იმუქრება ნადარეიშვილი: "მანამ ცოცხალი ვარ, აფხაზეთს არ მოვეშვები"-იფიცებს კიტოვანი; "აფხაზური სეპარატიზმი დამღუპველი იქნება რუსეთისთვის, ამიტომ იგი დაგვეხმარება აფხაზეთის დაბრუნებაში" - ასკვნიან საყვარელიძის დონის ახლადგამომცხვრი პოლიტოლოგები.

რეალური მოვლენები კი სულ სხვაგვარად ვითარდება. სულ უფრო ხმამაღლა და გაბედულად ლაპარაკობენ აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის შეცვლას და საქართველოს, როგორც სახელმწიფოს ფედერალურ პრინციპზე მოწყობის თაობაზე. ეს აუცილებლად გამოიწვევს აჭარისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიების სტატუსის შეცვლას, აქ მთავარი ისაა, რომ თავად, საქართველოს ფედერალური მოწყობის საკითხიც, არაა საბოლოო ზღვარი პოლიტიკური დათმობებისა. ეს არის გარკვეული სტადია, შუალედური რგოლი იმ სრული დაშლის გზაზე, რომელსაც დღესდღეობით ადგას საქართველო. რა უშლის ხელს რეალურად იმას, რომ აფხაზეთის სრული დამოუკიდებლობის საკითხი დადგეს ხვალ დღის წესრიგში? ნუთუ მხოლოდ ის, რომ სხვადასხვა დონეზე შეხვედრებისას ყველა ადასტურებს და აღიარებს საქართველოს ტერიტორიალურ მთლიანობას. ეს არის ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტი შევარდნაძის მრავალრიცხოვან გამოსვლებში. მაგრამ, როგორც იტყვიან, ენას ძვალი არა აქვს. დღეს ერთის თქმა შეიძლება, ხვალ, სრულიად უპრობლემოდ, მეორისა. ცარიელი სიტყვა მხოლოდ ლეგენდებში თუღაა მტკიცე გარანტია სხვათა შორის, ლტოლვილთა დაბრუნების აუცილებლობასაც ასევე ერთხმად აღიარებს საერთაშორისო საზოგადოებრიობა, მაგრამ სწორედ ე.წ. ეთნიკური წმენდა გახდა იმ ზოგადი ტენდენციის მახასიათებელი, რომელსაც ადგილი აქვს თითქმის ყველა კონფლიქტის დროს მსოფლიოში. იქნება ეს რუანდა, თურქეთი, ყოფილი იუგოსლავია, ყარაბაღი, ინგუშეთი თუ სხვ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეთნიკური წმენდა არის გეგმაზომიერი საერთაშორისო პოლიტიკა და ამ ქმედების უარყოფითი ემოციური მუხტის შემცირება თუ ხდება იმ აღშფოთებული განცხადებებითა და სხვადასხ... ხელშეკრულებებზე ხელმოწერებით, რომელთა ს... სიკეთო შედეგი ჯერ არავის უნახავს.

რაც შეეხება იმედს, რომ რუსეთი, რომელ... ასევე დგას სეპარატიზმის საფრთხის წინაშ... დაეხმარება საქართველოს აფხაზეთის დაბრუნებაში... და რომ ერთიანი და ძლიერი საქართველოს მო... ვშირეობა შედის რუსეთის სტრატეგიულ ინტ... ესებში.

დავიწყოთ იქიდან, რომ რუსეთი საქართველ... ყოველთვის უყურებდა არა როგორც მოკავშირ... არამედ როგორც ვასალს, ყმას და რომლის ძლ... რებაც არასგზით არ შეიძლება აწყობდეს რუსეთ... ეს არის ის ჭეშმარიტება, რომელიც რუსეთ-... ქართველოს ურთიერთობის ისტორიის ყველა ე... პზე ცხადად შეინიშნება.

რაც შეეხება აფხაზური სეპარატიზმის საშ... როებას რუსეთისთვის, აქ სახეზეა ე.წ. ორმ... სტანდარტის ნამდვილი გამოვლინება. ... ტენდენციებს, რასაც რუსეთი ხელს უწყობს ... პროვოციერბას უკეთებს სხვაგან, იგი გააფრთ... ებრძვის საკუთარ სახელმწიფოში. რა თქმა უნ... ეს არის მხოლოდ რუსეთის თვისება. ესაა დ... ანდელი მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავ... მახასიათებელი. სეპარატიზმი დღევანდელ საქ... თველოში არაა რუსეთისა... ის ზოგადად სეპარატისტ... ტენდენციის გამოვლინება. ... თავად რუსეთის მიერ სრ... ლიად მართვადი, და ამდენ... სრულიად უსაფრთხო პრ... ცესია.

**ყალბი დაპირებების იმედად ყოფნა არის ის პასიური მდგომარეობა, რომლის უცილობელი შედეგი ყოველთვის ყოფილა და მომავალშიც იქნება დაბეჩავება და მონობა.**

რუსეთი თავად არასოდ... დაუბრუნებს აფხაზეთს საქ... თველოს. არ დაუბრუნე... რადგან ეს რუსეთს არაფერ... აწყობს. შესაძლოა, დღესდღეობით მას არც ა... ხაზეთის სრული დამოუკიდებლობა აძლევ... ხელს დღევანდელი სიტუაციის გათვალისწინებ... უფრო რეალური ჩანს დროში გაწელილი სისხლ... ანი კონფლიქტის პერსპექტივა. შესაძლოა მოხ... გალის რაიონში ქართული ჯარის შესვლა ... ლტოლვილთა დაბრუნების საბაბით, მაგრამ ... მხოლოდ კონფლიქტის ესკალაციისა და გამწვავ... მიზნით იქნება დაშვებული.

ამ აქციის ერთ-ერთი შედეგი უცილობლ... იქნება მთიელ ხალხთა კონფედერაციის რეანიმ... კავკასიაში ანტიქართული პროპაგანდის ახალ ტ... ლაზე. იმ კონფედერაციისა, რომლის მოღალატ... და ანტიკავკასიური ხასიათი ნათლად აჩვენა ... ნეთის მოვლენებმა. თუმცა ეს საკითხი ცალ... საუბრის თემაა, თანაც აუცილებელი და საჭ... ბოროტო.

დასკვნის სახით მხოლოდ იმას ვიტყვით, ... საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და ... სახის პროცესები მხოლოდ მაშინ გახდება სა... და, ამდენად, ანგარიშგასაწევი რუსეთისთვის, რო... იგი დაკარგავს მათი მართვის ბერკეტებს. ეს ... არ მოხდება მანამ, სანამ საქართველო არ გა... ვისუფლდება ხუნტის დიქტატურისგან და არ შ... მუშავებს საკუთარ, ქართულ, ანუ კავკასიურ პოლ... ტიკურ კურსს.

**თ. რეხვიაშვილი**

# ზღვარს იქით

დაშვებული მოჩვენებითი თავისუფლების წიაღში საშიში სიმპტომ- ...იჩენს ხოლმე თავს. მოდის ივნისი, ...ისი, აგვისტო... ჟამი დაგეგმილი ...დატეხებისა. რაღაც უნდა მოხდეს.

...დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებას ...მნელოვანწილად განსაზღვრავს სულ ...ტა, ოთხმხრივი ინტერესი:

შევარდნაძისა - დაამტკიცოს და ...ოქმედოს ახალი კონსტიტუცია, ...მელშიც გაფორმდება საქართველოს ...დერალური მოწყობა და ისეთი მმარ...ელობითი სტრუქტურა, რომელიც ...მავალშიც გამორიცხავს, ან გაარ...ლებს საქართველოს გამოსვლას რუს...ს პროტექტორატიდან;

...ოფიციალური ოპოზიციისა - მომავ... საპარლამენტო არჩევნებში მოიპ...ოს ადგილების გადამწყვეტი რაოდე...ბა;

გარე ოპოზიციის ერთი ნაწილისა - ...ც შეიძლება ნაკლები ძალისხმევის, ...ჩისშემდგომი ტერორის პირობებში ...გროვილი პოლიტიკური კაპიტალის ...ქტურად გამოყენებისა და თუნდაც ...მპრომისების ხარჯზე დაიმკვიდროს ...ოციალური პოლიტიკური ძალის სტა...სი;

და რუსეთისა - საბოლოოდ და-...ვლოს საქართველო, რასაც არამც ...არ ეწინააღმდეგება ზემოჩამოთვლი- ...ტენდენციები, არამედ ხელსაც ...ყობს, ვინაიდან თავად ამ მიმართულ-...თა ძირითადი ორიენტირები თანხვე-...დილია.

მიუხედავად ამისა, პოლიტიკურ ...ჯგუფებათა შორის წინააღმდეგობები, ...თი ლოკალური თუ პირადი ინტერე-...ბის შეუთავსებლობა სულაც არ არის ...გონილი სხვა საკითხია, რომ საქარ-...ველოს ძირეულ, სასიცოცხლო ინტე-...სებთან მიმართებაში ისინი ერთი მი-...რთულებით მოქმედებენ.

და მაინც, უახლოეს პერიოდში ...მოსალოდნელია პოლიტიკური დაპირი-...რების გამწვავება. ნაკლებსარწმუნოა ... მოხდეს საქართველოსთვის დამღუპ-...ლი ფედერალური მოწყობის პროექტის ...მო, რომელიც ახალი კონსტიტუციის ...რეულ პრინციპს წარმოადგენს: საქმე ...ა, რომ თავად საპარლამენტო ოპო-...ციის ერთი ნაწილი დასაშვებად ან, ...ველ შემთხვევაში, აფხაზეთისა და ...და ქართლის პრობლემის გადაწყვეტის ...თ-ერთ "ცივილიზებულ" ვარიანტად უკვე რახანია მიიჩნევს საქართველოს ფედერალიზებას და არც უფიქრდება მის შედეგებს.

გარეოპოზიციის ერთი ნაწილის სურვილი, როგორმე ჩაენერგოს არსებულ სტრუქტურებში, თავისთავად გამორიცხავს მის პრინციპულ დაპირისპირებას მმართველ რეჟიმთან, რამეთუ ნათელია - ახალი კონსტიტუციის გაზიარება გახდება სახელისუფლებო დარბაზებში შესასვლელი საშვი.

საფიქრალია, ძირითადი დაპირისპირება მოხდება ერთმმართველობითი სისტემის - საპრეზიდენტო ინსტიტუტის გამო, რომლის შემოღების სურვილს არ მალავს თავად შევარდნაძე, ხოლო მისი ამალა რახანია პროპაგანდას უწევს იმას, რასაც ამ სამი წლის წინ ვითომდა გამეტებით ებრძოდა. ამ მხრივ "დემოკრატიული" ოპოზიცია პრინციპის ერთგული რჩება - იგი კვლავ საპარლამენტო რესპუბლიკის იდეას ქადაგებს და უმწვავესად რეაგირებს საპრეზიდენტო ინსტიტუტის სასარგებლოდ გამოთქმულ არგუმენტებზე.

ნიშანდობლივია ამ მხრივ ჯაბა იოსელიანის რეაქცია, მით უფრო "მხედრიონის" გამათრახების ფონზე. იგი კვლავ დიქტატურის წინააღმდეგ ილაშქრებს, მხოლოდ ამჟამად მის მიერ დამკვიდრებული დიქტატურის, რომლის ზეობასაც ათეულ ათასობით ადამიანის სიცოცხლე შესწირა. მიუხედავად იმისა, რომ "მხედრიონმა" იარაღი ჩააბარა, ეჭვი არავის ეპარება, რომ ყველა ნამდვილ მხედრიონელს რამდენიმე იარაღი აქვს და მას ისე ადვილად არ დათმობს, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. ამიტომ, რიგი დამკვირვებლები მიიჩნევენ, რომ შევარდნაძის გაპრეზიდენტების მცდელობას პოლიტიკურ წინააღმდეგობათა გამწვავების შემდეგ უცილობლად მოჰყვება ძალისმიერი კონფრონტაცია, რომელიც ან წერტილს დაუსვამს შევარდნაძის მმართველობას, ან სერიოზულად შეარყევს მას.

რამდენად რეალურია მოვლენათა ამგვარი განვითარება?

არაოფიციალური ინფორმაციით, ერთი შეხედვით ბედს დამორჩილებული "მხედრიონი" თითქოსდა მართლაც აწარმოებს გარკვეულ მუშაობას თავისი ძალისმიერი პოზიციების განსამტკიცებლად. პარალელურად ცდილობს კავშირი დაამყაროს სხვადასხვა, ზოგჯერ მასთან რადიკალურად დაპირისპირებულ პოლიტიკურ ძალებთან, ცალკეულ პიროვნებებთან. არ არის გამორიცხული მისი მესვეურნი შეეცადონ აშკარა თუ არა, ფარული ალიანსი მაინც შეკრან გარეოპოზიციის ზოგიერთ წარმომადგენელთან.

ამის სიმპტომი იყო ამასწინათ ე. წ. სათათბიროზე ირაკლი გოცირიძის მიერ გამოთქმული აზრი: "ჩვენ უნდა დავდგეთ მხედრიონსა და ხელისუფლებას შორის", რამაც მხარდაჭერა ვერ პოვა. პირიქით, ბ-ნ გოცირიძის ძალზე გამოკვეთილი ორიენტაცია - ნებისმიერ ძალებთან კონტაქტის დამყარების საჭიროებასა და არჩევნებში მონაწილეობაზე, მისი სათათბიროს ძირითად შემადგენლობასთან დაპირისპირებისა და საბოლოოდ ამ გაურკვეველი სტატუსის მქონე ორგანოდან გასვლის მიზეზიც კი გახდა.

მიუხედავად ამისა, თავად პრინციპი - ყველა შევარდნაძის წინააღმდეგ! - რომელიც ამჟამად დომინირებს პოლიტიკური ოპოზიციის რიგებში, არ გამორიცხავს ყველაზე მოულოდნელი ალიანსების წარმოქმნას. ამასთან, კომპრომისებისკენ მიდრეკილი პოლიტიკური ძალები ნაკლებ უფიქრდებიან, რამდენად რეალურია შევარდნაძესა და იოსელიანს შორის არსებული განხეთქილება, ან თუ რეალურია, განა არ შეიძლება თავად "მხედრიონი", მისი აგრესიული მენტალიტეტიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ იქნეს გამოყენებული - მხოლოდ ამჟამად საკუთარი თავის წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში "მხედრიონთან" ერთად დარტყმის ქვეშ აღმოჩნდება მასთან დაახლოებული ყველა პოლიტიკური ძალა.

ერთი სიტყვით, ადვილი შესაძლებელია "მხედრიონის" განიარაღების კამპანია გახდეს კიდევ ერთი 24 ივნისის მაპროვოცირებელი წინაპირობა. ნათელია, რომ რუსეთი ამ კონფრონტაციაში გადამწყვეტ ძალისმიერ როლს შეასრულებს, ხოლო დასავლეთი არამც თუ არ დაუჭერს მხარს ახალ "მხედრიონისტულ" რევოლუციას, არამედ უმალ უკან წაიღებს იმ უმნიშვნელო პრეტენზიებსაც, რომელიც შევარდნაძის მისამართით გამოუთქვამს.

თავად შევარდნაძისა და მისი მემკვიდრე კომუნისტურ-კრიმინალური მაფიისთვის (რომლის ხაზე დღესაც სრულიად მცდარად გაიგივებულია მხოლოდ ჯაბა იოსელიანთან. სინამდვილეში ესაა ნომენკლატურული ფენების მთელი სინდიკატი) მოვლენათა ამგვარი განვითარება იძლევა შანსს:

- ერთბაშად გაანადგუროს ყველა რეალური, შესაძლებელი და პოტენციური კონკურენტი;

- საკონსტიტუციო რეფერენდუმისა და მომავალი არჩევნების (რომელიც სჭირდება, მაგრამ არ უნდა!) წინ გაამართლოს რეჟიმის გამკაცრება, საპრეზიდენტო მმართველობის შემოღება თუნდაც სრულიად არასამართლებრივი გზით;

- საბოლოოდ გადაწყვიტოს აფხაზეთისა და შიდა ქართლის საკითხი რუსეთის სასარგებლოდ და, ყოველგვარი საერთაშორისო აჟიოტაჟის გარეშე, მთელი პასუხისმგებლობა ამისთვის დააკისროს ოპოზიციასაც და კანონიერ ხელისუფლებასაც;

- წერტილი დაუსვას დასავლეთის მოთხოვნას საქართველოში დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებების დაცვის თაობაზე, რაც უშუალოდ უკავშირდება საქართველოსთვის, რეალურად კი ზემოხსენებული კომუნისტურ-კრიმინალური კლანისთვის, დახმარების გამოყოფას.

შეიძლება იფიქრონ, რომ ეს ჩვენი პირადი შიშები და ფანტაზიებია. იქნებ ასეც არის. ჩვენ არ ვაცხადებთ პრეტენზიას კასანდრას როლზე, მაგრამ ერთ ფაქტს ვერსად გავექცევით: საქართველომ უკვე რახანია გადააბიჯა აბსურდულობის ყოველგვარ ზღვარს, რომლის მიღმა ყველაფერი შეიძლება მოხდეს და ყველაფერს უნდა ელოდო.

**ანა ჭავჭავაძე**

## ქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

### რადიო "თავისუფლება"

14 მაისი

ჩეჩნეთში ფედერალურმა ჯარებმა ცეცხლი გაუხსნეს საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელს.

### "გერმანიის ტალღა"

კლინტონმა განაცხადა, რომ ის არავის მისცემს უფლებას აწყენინოს უკრაინას.

გაძლიერდა სატანისტური კულტი ახალგაზრდებში. უნგრეთში ამ მიმართების მიმდევარია 10 000 ახალგაზრდა.

რუსეთის მხარე აცხადებს, რომ ისინი ირანს მიჰყიდიან წყალმადის რეაქტორებს, რომლებიც იარაღის საწარმოებლად გამოუსადეგარია. ამერიკელი ექსპერტები კი თვლიან: არსებობენ სპეციალისტები, რომელთაც შეუძლიათ ასეთი ტიპის რეაქტორების ტრანსფორმაცია.

### რადიო "თავისუფლება"

(ქართული რედაქცია)

7 მაისი

საარბრუკენში გაიხსნა გამოფენა "არქეოლოგიური მონაპოვარი საქართველოდან", რომელზეც 400-მდე ექსპონატია წარმოდგენილი, ძირითადად საქართველოს სახ. მუზეუმის ფონდებიდან, აგრეთვე, მასალები ბათუმიდან, ბორჯომიდან და სიღნაღის მუზეუმებიდან, არქეოლოგიური ცენტრიდან და არქეოლოგიური მუზეუმიდან. ეს მასალები ასახავს ქართველური ტომების ცხოვრებას მე-6 ათასწლეულიდან ვიდრე ახალი წელთაღრიცხვის მე-3 საუკუნემდე.

"ცოდნის" დარბაზში გამართულ მხედრიონელთა პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ კახეთის რეიდში მონაწილეობდა 2500 კაცი საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებიდან. აქციის დროს სცემეს, კამერა დაუმტვრიეს და დარბევის ამსახველი ვიდეო მასალა წაართვეს ამ ფორმირების პრესცენტრის ხელმძღვანელს კოტე ინაშვილს, რომელიც დღემდე სამხედრო ჰოსპიტალშია.

თ. ქორიძემ ქართული პრესის მიმოხილვისას აღნიშნა: პატიმრებს - შურღაიას, ოთხოზორიას და სხვ. გაზ. "ახალი თაობა" და "თავისუფალი საქართველო" აცხადებს პოლიტპატიმრებად და პატრიოტებად.

"მხედრიონის" თემის მიმოხილვისას თ.ქორიძემ მოიხმო ა.ჭავჭავაძის ციტატა: სანქცია მხედრიონზე "ნიუ-იორკის ცეკადან" მოდისო.

ატლანტაში კარტერის ცენტრის მიერ მოწყობილი შეხვედრის დროს აფხაზური მხარე საქართველოზე იყო წარმოდგენილი. გ.მაგულიას კულისებში პროფ. ნათელა აკბასთან მძიმე კამათი ჰქონდა: აკბას განცხადებას - საქართველოს შემადგენლობაში დარჩენას გვირჩევნია ამოვწყდეთო - ბ-ნმა გურამმა უპასუხა: როგორ იმეტებ საკუთარ ხალხსო.

### რადიო "თავისუფლება"

16 მაისი

რუსეთმა გააფრთხილა პოლონეთი ურთიერთობების შესაძლო გაუარესების თაობაზე თუ კრაკოვში დაიწყებს მოქმედებას კერძო რადიოსადგური "თავისუფალი კავკასია", რომელიც აწარმოებს გადაცემებს კავკასიის რეგიონისთვის. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის - კარასინის თქმით, თუ რადიო "თავისუფალი კავკასია" მიიღებს ლიცენზიას, ეს იქონიებს არაკეთილსასურველ გავლენას მოსკოვისა და ვარშავის ურთიერთობაზე.

რადიო "თავისუფალი კავკასია" გადაცემებს აწარმოებს ჩეჩნურ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე და პოლონურ ენაზე ყაზახეთში მცხოვრები ეთნიკური პოლონელებისთვის.

- კაუნასში გაიხსნა ჩეჩნეთის პრესცენტრი, რომელიც წარმოადგენს ჩეჩნეთის ლიდერის - დუდაევის ინტერესებს.

- პრეზიდენტი ელცინი არ წავა კიევში უკრაინასთან მეგობრული ხელშეკრულების ხელის მოსაწერად, სანამ არ გადაწყდება შავი ზღვის ფლოტის პრობლემა.

17-18 მაისს საზოგადოება "ცოდნის" დარბაზში გაიმართა საქართველოს ჰელსინკის კავშირის მე-3 რესპუბლიკური ყრილობა, რომლის მუშაობაში 230 დელეგატიდან მონაწილეობა მიიღო 209 დელეგატმა საქართველოს რეგიონალური ორგანიზაციათა უმრავლესობიდან. ყრილობის პრესცენტრიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად თავიანთი დელეგატები გამოაგზავნეს თბილისის, რუსთავის, გარდაბნის, დუშეთის, შიდა ქართლის, კასპის, გურჯაანის, ქუთაისის, ...ის, თერჯოლის, ხონის, ზესტაფონის, სამტრედიის, სოხუმის, ოჩამჩირის, გულრიფშის, ...კის, ხობის, აბაშის, მარტვილის, ჩხოროწყუს, ...ლენჯიხის, აჭარის რეგიონალურმა და ადგილობრივმა ორგანიზაციებმა. არ გამოცხადდნენ ზუგდიდის ორგანიზაციის წარმომადგენლები, ყრილობის რეზოლუცია, საპროტესტო განცხადება კავშირის გამგეობისა და უზენაესი საბჭოს წევრის ნუგზარ მოლოდინაშვილის უკანონო დაპატიმრებასთან დაკავშირებით, დადგენილებები და მიმართვები, კერძოდ - ქართველი ერისადმი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსადმი, ჩეჩენი ხალხისადმი, საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი, აშშ-ს კონგრესის ადამიანის უფლებათა კომისიისადმი, მილოცვა საფრანგეთის ახლადარჩეულ პრეზიდენტს ჟაკ შირაკს.

ყრილობამ დაადასტურა კავშირის მე-3 კონფერენციის დადგენილება №1, რომლის თანახმად კავშირის წევრი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ან საჯარო პროპაგანდას გაუწევს უკანონო მარიონეტული რეჟიმის მიერ დანიშნულ

# ჰელსინკის კავშირი მაინც არსებობს

...ომლებმაც მიზეზად დაასახელეს კავშირიდან ...გამოყოფილ ჯგუფთან არსებული უთანხმოება ...ა თავიანთი პოზიცია ამგვარად განმარტეს - ...ვენ არც ერთ მხარეს არ ვემხრობით. მიუხედავად ამისა, ყრილობას დაესწრო კავშირის ადამიანის უფლებათა კომისიის ზუგდიდის სექცია. ...მდენად ყრილობა მოსალოდნელზე უფრო წარმომადგენლობითი აღმოჩნდა და დაადასტურა, რომ ზვიად გამსახურდიას მიერ შექმნილი ...უცესი ორგანიზაცია, წინააღმდეგობების მიუხედავად, არსებობს.

წინააღმდეგობები რომ არის, ეს ყრილობაზეც გამოჩნდა. მაგალითად, ე.წ. პოლიტიკურ ძალთა სათათბიროს მიმართ არაერთგვაროვანი აზრია ...კავშირისა და თავად გამგეობის წევრთა შორის. ...ნაწილი არ იზიარებს აზრს იმის თაობაზე, რომ სწორედ სათათბიროს იდეით იქნება ...შესაძლებელი საქართველოში პოლიტიკური ...ვითარების მკვეთრი გაუმჯობესება.

მეორე მხარე აშკარად გაურბოდა ამ საკითხზე კამათის გამართვას და ამას იმით ხსნიდა, რომ ჰელსინკის კავშირის ყრილობის მიზანი არ ...ყოფილა სათათბიროს საკითხის განხილვა - კავშირს თავისი პრობლემები აქვს გადასაწყვეტი. მართლაც, საანგარიშო მოხსენებების შემდეგ, რომელიც გააკეთეს გამგეობის წევრმა ...ავთანდილ რცხილაძემ, პრეს-ცენტრის ხელმძღვანელმა ლევან ურუშაძემ, ადამიანის უფლებათა კომისიის თავმჯდომარემ ანა ჭავჭავაძემ, გამოტანილი და შემდგომ მიღებული იქნა კავშირის ახალი წესდება, რომლის თანახმად, შემოღებულია მმართველობის კოლექტიური ფორმა - ...დელეგაციანი პოლიტიკური საბჭოს სახით, რომელიც თავის მხრივ შედის 21-კაციან გამგეობაში. ორივე სტრუქტურა ირჩევა ორ წელიწადში ერთხელ კავშირის ყრილობის მიერ ...ფარული კენჭისყრით.

ახალი წესდების საფუძველზე ყრილობამ აირჩია პოლიტიკური საბჭო და გამგეობა, მიიღო არჩევნებს, მექანიკურად ირიცხება კავშირის რიგებიდან.

ამდენად, ყრილობამ ნათელყო, რომ ჰელსინკის კავშირი თავისი სტრატეგიული კურსის ერთგული რჩება, მაგრამ ამასთან, გვერდი აუარა პოლიტიკური ტაქტიკის საკითხებზე თავად კავშირის წიაღში არსებულ საჭირბოროტო პრობლემებზე მსჯელობასა და კამათს. აშკარად ჩანდა, რომ ამ ეტაპის უმთავრეს ამოცანად კავშირის მესვეურებს, - განურჩევლად იმისა, რა დამოკიდებულება აქვთ ე. წ. სათათბიროსა თუ სხვა საკითხების მიმართ, - მიაჩნიათ ორგანიზაციის შენარჩუნება არალეგალურობისა და პოლიტიკური ქაოსის პირობებში, ამიტომაც გაურბიან მწვავე საკითხებს. ეს გასაგები მოტივია, თუმც არსებობს სხვა აზრიც: კავშირის სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია იმაზე, რამდენად მზად არიან მისი მესვეურნი თვალი გაუსწორონ სიმართლეს, კრიტიკულად შეაფასონ განვლილი გზა, რათა აღარ გამეორდეს ძველი შეცდომები.

ამ აზრმა საკმაოდ მკაფიოდ გაიჟღერა აბაშის ორგანიზაციის თავმჯდომარის დური გუგუშვილისა და ცხუმ-აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობის წევრის, აფხაზეთში მებრძოლი ბატალიონის მეთაურის სოსო ჯომიდავას გამოსვლაში, რომელმაც ამასთან მოუწოდა ყრილობის ზოგიერთ დელეგატს, თავი შეიკავონ პრეზიდენტის სახელით საუბრისგან.

ცხუმ-აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარემ ავთანდილ დავითაიამ გააკეთა ვრცელი მოხსენება აფხაზეთის ომისა და მისი შემდგომი პროცესების შესახებ.

ყრილობას სტუმრის სტატუსით ესწრებოდნენ ელიზბარ ჯაველიძე, უზენაესი საბჭოს წევრები - ლია ანდღულაძე, ბიძინა დანგაძე, ბეჟან ჯავახია, ბიჭურზა აფრასიძე, ჯემალ გოლეთიანი, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

# ნორმა ჰელმსი - ტირანიის მფარველი

ეუთო-ს წარმომადგენელმა საქართველოში ქ-ნმა ნორმა ჰელმსმა წერილი მისწერა ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიას, რომელმაც "გამსახურდიასა და მის მომხრეთა საქმის" წინასწარი და სასამართლო ძიების დროს დაშვებულ სამართალდარღვევათა გამო საკმაოდ მკაცრად შეაფასა საქართველოში ამ სფეროში არსებული ვითარება. ქ-ნი ჰელმსი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო ორგანიზაცია "ჰიუმან რაითს ვოტჩ/ჰელსინკის" ანგარიში ამ საქმის თაობაზე რიგ შემთხვევებში გაზვიადებულია, რიგ შემთხვევებში - ყალბი და ხელისუფლებისადმი ოპოზიციური ძალებისგან მომდინარე ტენდენციის გამომხატველი.

საგულისხმოა, რომ მან თავისი ბარათი ევროსაბჭოში გადასაცემად გაატანა პარლამენტის ვიცე-სპიკერ რუსუდან ბერიძესა და პარლამენტის წევრ მანანა გიგინეიშვილს, რომლებიც მივლინებულნი იყვნენ ბრიუსელში განსაკუთრებული მისიით - როგორმე გაეფანტათ ამ ბოლო დროს ევროსაბჭოში და საკუთრივ ამ კომისიაში ჩამოყალიბებული აზრი საქართველოში ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევების შესახებ.

ამ ფაქტის კომენტირებისას საქართველოს ჰელსინკის კავშირის ადამიანის უფლებათა კომისიის წარმომადგენლებმა, რომლებიც სისტემატურად ადევნებდნენ თვალყურს ხსენებულ საქმეს მთელი ძიების განმავლობაში, აღნიშნეს, რომ ეუთო-ს მისია განაჩენის გამოტანის დღემდე არ დაინტერესებულა ამ პოლიტიკური პროცესით, არ გამოუგზავნია თავისი თანამშრომლები, ხოლო განაჩენის გამოტანის დღეს მოსული მეთვალყურე, ბ-ნი ქრიშტოფ ტომკოვსკი და მისი თარჯიმანი იძულებულნი გახდნენ ელიარებინათ, რომ ამ საქმის თაობაზე არ გააჩნიათ არა თუ არაოფიციალური არხებით მოპოვებული ინფორმაცია, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციების, - "ემნისტი ინტერნეშნლ", "ჰიუმან რაითს ვოტჩ/ჰელსინკის", ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციისა და სხვათა მიერ მთელს მსოფლიოში გავრცელებული დოკუმენტები, თავად ევროსაბჭოს კომისიის მიერ მიღებული რეზოლუციები. მთელი ეს დოკუმენტაცია მათ იქვე დარბაზში მიაწოდეს განსასჯელთა ოჯახის წევრებმა და სამართალდამცველებმა.

" - როგორც ჩანს, ეუთო-ს თანამშრომლები ინფორმაციის შეგროვებაზე გამოყოფილი ხარჯების ეკონომიას ადამიანის უფლებათა ქართველი დამცველების ხარჯზე აპირებენ, რათა შემდგომ იგივე ინფორმაცია საიმედოდ გადამალონ უჯრაში და საერთაშორისო დონეზე პროტექცია გაუწიონ შევარდნაძის დისკრედიტირებულ რეჟიმს. საერთოდ, საქართველოში აკრედიტებულ მისიათა წარმომადგენლები იმგვარად იქცევიან, თითქოს ისინი ფაქტობრივი ხელისუფლებისგან იღებენ გასამრჯელოს. თავად ევროსაბჭოს აქაური წარმომადგენელი ბრიუსელში უფრო შევარდნაძის ელჩის ფუნქციას ასრულებდა, რაც აშკარად უტეხს სახელს ამ გავლენიან ორგანიზაციას.

რაც შეეხება ნორმა ჰელმსს, აღდგომის წინა დღეებში მან, მართლაც, გამოიჩინა ყურადღება პოლიტპატიმართა მიმართ - მოინახულა რამდენიმე მათგანი (პ. გელბახიანი, ი. დოკვაძე, ნ. ჭანტურია) ალექსანდრე კავსაძესთან ერთად. ზემოხსენებული წერილის შემდეგ ნათელი ხდება, რომ ეს ვიზიტები იზოლატორსა და მასთან არსებულ საავადმყოფოში სულაც არ ატარებდა ჰუმანურ ხასიათს: ამ სპეკულატურ-პროპაგანდისტული ხრიკის მიზანი სიყალბით აღსავსე ეპისტოლესა და პროტექციონიზმის გამართლება იყო", - განაცხადეს საქართველოს ჰელსინკის კავშირის კომისიის მესვეურებმა.

თავისუფალი საქართველო N11, 26-V-1-VII/95წ.

# მოწმეები სასამართლოზე ცუდად ხდებიან

როგორც ირკვევა, უზენაეს სასამართლოში მიმდინარე შურღაია-ოთხოზორიას საქმის სასამართლო პროცესზე, მოწმეთა დიდმა ნაწილმა არაფერი იცის განსასჯელთა შესახებ, წინასწარი ძიების დროს მათთვის არავის უთქვამს, რომ იკითხებიან შურღაიასა და ოთხოზორიას საქმესთან დაკავშირებით, ხოლო ერთ-ერთი მოწმე, როდესაც მოსამართლემ გამოაქვეყნა ძიების დროს მიცემული მისი ჩვენება, ცუდად გახდა და პროკურორის მოსავლელი შეიქნა. პროცესზე სულ უფრო ხშირად გაისმის კითხვა - იყვნენ თუ არა ზუგდიდში ჩეჩნები?

12 მაისს სასამართლოს წინაშე მოწმედ წარდგა ზუგდიდის მცხოვრები, ავტობუსის მძღოლი კარლო ფიფია, რომელმაც თავიდანვე განაცხადა, რომ დაკითხული იყო არა შურღაია-ოთხოზორიას საქმის გამო, არამედ მისი ავტობუსის აფხაზეთში გატაცების თაობაზე. მოსამართლე ტყეშელაშვილმა აღელვებულმა შეუტია მოწმეს: "თქვენ არ გეკითხებიან, რა საქმეზე იყავით დაკითხული, თქვენ გეკითხებიან, საერთოდ თუ იყავით დაკითხული". ბ-ნმა ფიფიამ დაადასტურა, რომ საერთოდ მისი დაკითხვის ფაქტს ნამდვილად ჰქონდა ადგილი. შემდგომ მან მოუთხრო სასამართლოს, 1993 წლის 5 ნოემბერს საღამოს საათებში ავტობუსით ("ლაზ-699" 66-98) მიმავალი როგორ გააჩერა იგი ყოფილი კომენდატურის შენობასთან ხუთმა უცნობმა შეიარაღებულმა პირმა და ამათგან სამი ჩაუჯდა ავტობუსში.

"ქართველები არ იყვნენ, რუსულად ლაპარაკობდნენ, - განაგრძო მოწმემ. - გალში უნდა წაგვიყვანო, თუ არ წამოხვალ, ავტობუსს წაგართმევთო, მითხრეს. გალში რომ მივედით, ერთი მათგანი ავტობუსში დარჩა, ორი კი ჩამოვიდა და სადღაც შევიდა, შემდეგ ისევ დაბრუნდა და ახლა მითხრეს - ოჩამჩირეში უნდა წავიდეთო. იქ რომ ჩავედით, ორი ისევ გადავიდა და მოგვიანებით თან კიდევ ორი კაცი მოიყვანა. ამის შემდეგ თქვეს, სოხუმში უნდა წავიდეთო. გულრიფშის ცენტრთან რომ მივედით, ავტობუსის ძრავი გამიფუჭდა და მთელი ღამე იქ დავყავით. დილით ბუქსირით გადაგვიყვანეს აგუძერაში და ავტობუსი სამხედრო გარაჟში მიგვაყვანინეს. მე "ყიგულში" ჩამსვეს და გამომიშვეს ენგურის ხიდამდე, ავტობუსი დაიტოვეს".

მოსამართლის კითხვებზე პასუხის გაცემისას მოწმემ განაცხადა, რომ ენგურზე გადასვლისას ხიდს ქართული მხრიდან არავინ აკონტროლებდა, ხოლო მეორე მხარეს მათ აფხაზთა პიკეტი დახვდათ.

კითხვაზე, ვის აცნობა მოწმემ მისი აფხაზეთში გაყვანისა და ავტობუსის გატაცების შესახებ, ბ-ნმა ფიფიამ მოსამართლეს უპასუხა:

" - ზუგდიდში აღარავინა იყო. ვაცნობე საწარმოოს უფროსს, მურმან ჯაბუასა და პოლიციის სამმართველოს უფროსს კუკური ადამიას, რომელმაც მითხრა - თუ შენი ავტობუსის გამოყვანა შევძელით, დაგიბრუნებთ, ისე კი, კომპიუტერში შევიტანეთო.

მოწმემ დაადასტურა წინასწარი ძიების დროს მიცემული ჩვენება და განაცხადა, რომ ჩვენების მიცემისას მასზე ზემოქმედებას ადგილი არ ჰქონია. ადვოკატმა ნავროზაშვილმა ჰკითხა მოწმეს, უთხრეს თუ არა მას პროკურატურაში დაკითხვისას, რომ ჩვენებას ართმევენ შურღაია-ოთხოზორიას საქმესთან დაკავშირებით.

" - არავის არაფერი უთქვამს. მე ეს პირველად გავიგე, როცა მომივიდა უწყება, რომ თბილისში სასამართლოზე უნდა გამოვიდე ამათი საქმის თაობაზე" - განაცხადა ბ-ნმა ფიფიამ.

- რომ ეთქვათ, რას უპასუხებდით?

"- რომ არც ერთს არ ვიცნობ და სათქმელი არაფერი მაქვს". - უპასუხა მოწმემ.

შემდგომ წაკითხულ იქნა მოწმის ჩვენება მიცემული ძიების დროს, სადაც ნათქვამია, რომ ერთ-ერთი თავდამსხმელი, სახელად კუმარი, აცხადებდა, რომ აქ ჩამოსულია საომრად და მათ ამისთვის ფულს უხდიან.

" - ხომ არ უთქვამს ვინ უხდიდა ფულს, რომელი მხარე?" - დაინტერესდა პროკურორი, რაზეც მოწმემ უპასუხა, რომ ამის თაობაზე არაფერი იცის. "საერთოდ უცხო ტომის ხალხი თუ გინახავთ ზუგდიდში" - კვლავ პროკურორის კითხვა. პასუხი: "არა, არასოდეს, იარაღიანი არ მინახია".

ზოგადად კი, მიუხედავად იმისა, რომ მოწმე ფიფიამ დაადასტურა წინასწარი ძიებისას მიცემული ჩვენება, სასამართლოსთვის ჩვენების მიცემისას იგი ნაკლებ ინფორმირებული ჩანდა - გულმავიწყობით თუ სხვა მიზეზით, ძნელი სათქმელია.

ასევე გაუგებარი იყო პროცესზე მოწმე მურთაზ ბერდეხელიას მოწვევა, რომელიც საერთოდ არაფრის "მოწმე" არც ყოფილა (გარდა იმისა, რომ მის ოჯახში ცხოვრობდნენ უზენაესი საბჭოს წევრები გურამ და რობერტ პეტრიაშვილები) არავითარი კავშირი განსასჯელებთან არ ჰქონია და იკითხებოდა იმის გამო, რომ მისი ძმა ზურაბ ბერდეხელია, ფიფიას მსგავსად, გასული იყო აფხაზეთში თავის ავტობუსით. ამ უკანასკნელის გამოუცხადებლობის მიზეზად დასახელებული იყო ავადმყოფობა. ადვოკატებმა და პროკურორმა მოითხოვეს მისი გამოცხადების უზრუნველყოფა.

მოწმედ გამოძახებულმა უზენაესი საბჭოს წევრმა ბიძინა დანგაძემ განაცხადა, რომ ვალტერ შურღაიას იცნობს, როგორც ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ თვალსაჩინო მოღვაწეს, რომელმაც ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში იწვნია საბჭოთა სისტემისგან რეპრესიები და იგი არა თუ არ მიაჩნია სამშობლოს მოღალატედ, არამედ თვლის მას პატრიოტად. რაც შეეხება ოთხოზორიას, მას პირადად არ იცნობს, მაგრამ ბევრი კარგი სმენია მის შესახებ.

1991-92 წლების დეკემბერ ი -ანვრის მოვლენები ბ-ნმა დანგაძემ, საბრალდებო დასკვნისგან განსხვავებით, შეაფასა არა როგორც სამხედრო კონფლიქტი, არამედ როგორც გარედან ინსპირირებული სახელმწიფო გადატრიალება, რომლის მიზანი იყო საქართველოს დაქუცმაცება და დამოუკიდებლობის ხელყოფა.

კითხვაზე, იყვნენ თუ არა ზუგდიდში ჩეჩენი და აფხაზი ბოევიკები, ბ-ნმა დანგაძემ უპასუხა:

" - ტელევიზიით გავიგე, რომ იყვნენ, მაგრამ მე თვითონ არ მინახავს.

- რომელი ტელევიზიით?

- თბილისის ტელევიზიით..."

* * *

15 მაისის სხდომაზე დაკითხულმა მოწმე ჯღარკავამ, რომელიც 1993 წლის ოქტომბერ-ნოემბერში მუშაობდა ფოთის სამხედრო კომენდანტის მოადგილედ, დაადასტურა ძიებისთვის ფრიად "მნიშვნელოვანი" ფაქტი - რომ ამავე პერიოდში ფოთში მყოფ ოთხოზორიას მეომრებისთვის გადასცა მოსახლეობის მიერ შემოწირული საკვები პროდუქტები და სიგარეტი. მას შემდეგ ბ-ნ ჯღარკავას ოთხოზორია ფოთში მხოლოდ ერთხელ უნახავს. ადვოკატის კითხვაზე, გაუგია თუ არა რაიმე იმის შესახებ, რომ ოთხოზორიას მონაწილეობა მიეღოს სხვადასხვა სახის დივერსიებში, ვინმე მოეკლას ან ტყვედ აეყვანოს, მოწმემ უპასუხა, რომ ასეთი რამ არ სმენია. რაც შეეხება ვალტერ შურღაიას, იგი ბ-ნ ჯღარკავას მხოლოდ ტელევიზიით უნახავს.

* * *

ამავე სხდომაზე დაკითხული იქნა ზუგდიდის საექსკურსიო ბიუროს მძღოლი ზურაბ ბერდეხელია, რომლის მიერ წინასწარი ძიების დროს მიცემული ჩვენების თანახმად, 1993 წლის ოქტომბერში იგი ზამირ გერგედავამ მიიყვანა გვარდიის შტაბში და შემდეგ თავისი და მეორე თანმხლები ავტობუსით გაყვანილ იქნა ოჩამჩირეში, საიდანაც ზუგდიდში ჩამოიყვანა ჩეჩენი და აფხაზი ბოევიკები, აგრეთვე სამხედრო ტექნიკა (შილკა, ორი "ბეერდეემი", ტყვია-წამალი). უკანა გზაზე აჩიგვარასთან მას უნახავს "ვახტანგ ქობალია და გურამ აბსანძე, აგრეთვე გვარდიელები, რომლებიც დაქირავებულ მკვლელებს შეხვდნენ სტვენითა და სიხარულით". დაქირავებულები ჩაიყვანა ჯერ ზუგდიდში, შემდეგ ხობსა და შემდეგ სენაკში, სადაც ისინი უმალ ჩაერთვნენ ბრძოლაში. შემდეგ მათ მეთაურს მოუტანეს რაღაც წერილი, რომლის წაკითხვის შემდეგ დაქირავებულები ისევ აფხაზეთში წაიყვანეს იმავე ავტობუსით. ამასთან, დაქირავებულთა მეთაურს უთქვამს ბერდეხელიასთვის, უყურე, როგორ გარბიან თქვენი მებრძოლები, მაგათ ჰგონიათ, ჩვენ შევაკლავთო თავს.

**როდესაც მოსამართლე ი. ტყეშელაშვილმა დაამთავრა ჩვენების კითხვა, მოწმე ცუდად გახდა და სასამართლო სხდომა დროებით შეწყდა.** მას ადგილი მიუჩინეს პროკურორის მახლობლად, რომელიც მზრუნველობას არ აკლებდა მისთვის ესოდენ ძვირფასი ჩვენების ავტორს და აწვდიდა დარბაზიდან გამოგზავნილ წამლებს.

როდესაც მოწმემ თავი უკეთ იგრძნო და სხდომა განახლდა, პროკურორის პირველივე კითხვაზე - "ადასტურებთ თუ არა ამ ჩვენებას", ბერდეხელიამ სასოწარკვეთით წამოიძახა:

" - მაშინ ჩემს ჭკუაზე არ ვიყავი, მანამდე ჩხრეკა მომიწყვეს..." - მაგრამ პროკურორმა არ აცალა თქმა, თითქოს ეს საკითხს არ ეხებოდა, და კვლავ მოითხოვა "კონკრეტული პასუხი კონკრეტულ კითხვაზე". მოწმე დუმდა. მაშინ პროკურორმა და მოსამართლემ სხვა ტაქტიკა არჩიეს, მიუთითეს მოწმეს იმ დეტალებზე, რომლებიც ფიგურირებდა წინასწარი ძიების დროს მიცემულ ჩვენებაში, ხოლო სასამართლოსთვის ჩვენების მიცემისას ბერდეხელიას არ დაუსახელებია. მაგალითად, მართლა იყო თუ არა ზამირ გერგედავა, მართლა ნახა თუ არა აჩიგვარასთან აბსანძე და ქობალია, მართლა ხვდებოდნენ თუ არა სიხარულით აფხაზებს, მართლა ჩაერთვნენ თუ არა ჩამოსულები ბრძოლებში და ა. შ. ბერდეხელია ყრუ ხმით ზოგჯერ პასუხობდა - არ ვიცი, ზოგჯერ - არ მახსოვს, ან - მე სახეზე არ ვიცნობ აბსანძეს და ამის მსგავსი.

ამის შემდეგ პროკურორმა და მოსამართლემ მეტად საგულისხმო სცენა გაითამაშეს:

"პროკ. - ეს ჩვენება წინასწარი ძიების დროს არასწორად იქნა ჩაწერილი? რაიმე ზეგავლენა თუ იყო თქვენზე?

მოს. - ყველა ხედავს, რომ არც პროკურორი, არც ადვოკატები, არც მოსამართლე არ აიძულებს მოწმეს. თუ გაიძულათ გამომძიებელმა, გვითხარით და ჩვენ დავსჯით იმ გამომძიებელს განჩინება გამოვიტანთ, შეიძლება საქმეც აღვძრათ...

პროკ. - ...თუ არ დადასტურდა, მაშინ მოწმე აგებს პასუხს...

მოწ. ბერდეხელია - ვადასტურებ ჩვენებას..."

ადვოკატ თ. გოქსაძის მიერ დასმული შეკითხვების შემდეგ გაირკვა, რომ ზემოხსენებული ჩვენება მოწმეს არ წაუკითხავს, რომ მისი დაკითხვა მიმდინარეობდა ერთი კვირის განმავლობაში (სახლიდან მოჰყავდათ და უკან მიჰყავდათ, თანაც გაუსვლელობის ხელწერილიც ჩამოართვეს), ამასთან, ერთსა და იმავე საკითხთან დაკავშირებით იგი დაკითხა სხვადასხვა გამომძიებელმა, ოქმებზე ხელს არ აწერინებდნენ, მხოლოდ ბოლოს მოაწერინეს. გაირკვა ისიც, რომ დაქირავებული მკვლელების გარდა ბ-ნ ბერდეხელიას ზუგდიდში ლტოლვილებიც შემოჰყავდა, მაგრამ პროკურორი ამით არ დაინტერესებულა - იგი იმდენად ღელავდა, რომ ხშირად ერეოდა ადვოკატისა და მოწმის დიალოგში, რაზეც მოსამართლისგან არც ერთი შენიშვნა არ დაუმსახურებია.

* * *

17 მაისს მოწმედ დაკითხულ იქნა ზუგდიდის პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილე რევაზ ჩიქობავა, რომელიც 1993 წლის დეკემბერში, როდესაც დაკავებული იქნა გოჩა ოთხოზორია, ამავე თანამდებობაზე მუშაობდა. ადვოკატ ნავროზაშვილის კითხვების მიხედვით მისი ჩვენება ამგვარად ჩამოყალიბდა:

" - 23 დეკემბერს შევდიოდი უფროსის - ადამიას კაბინეტში. ამ დროს იგი თვითონ გამოვიდა და მითხრა, ჩემთან სანქცირებული ოთხოზორია იმყოფებაო. მე ოპერატიულ სამსახურს ვხელმძღვანელობდი, მაგრამ ოთხოზორიაზე რომ სანქცია იყო, არ ვიცოდი. შევედი და, მართლაც, ვნახე ადამიას მაგიდაზე რესპუბლიკური პროკურატურის სანქცია, მაგრამ ბრალდებებს არ გავცნობივარ. გოჩას შევთავაზე იარაღის ჩაბარება. მან "მაკაროვის" სისტემის პისტოლეტი მაგიდაზე დადო, შემდეგ - აი, კიდევ ესა მაქვსო - ამოიღო ხელყუმბარა და ისიც მაგიდაზე დადო. შემოვიდნენ ადამია და პოლიციის სამი თანამშრომელი".

ამ მომენტამდე ყველაფერი მშვიდად მიმდინარეობდა, მაგრამ შემდგომმა კითხვებმა - თუ რატომ დაერქვა ოთხოზორიას დაკავების ოქმს ჩხრეკის ოქმი, რატომ არ იქნა დასასწრებად, წესის თანახმად, მოწვეული მოწმეები, - გამოიწვია ბ-ნ ჩიქობავას დაბნევა, ხოლო კითხვამ: "თქვენ იურისტი ბრძანდებით? მაშინ, ხომ მოგეხსენებათ [illegible] ჩხრეკასა და დაკავებას შორის?" - მეტ[illegible] აღელვა მოწმე. მისმა პასუხმა - მოწმეებ[illegible] ვერ დაასწრეს, რადგან იმ პერიოდში ზუგდიდში მოქალაქეს ვერ იპოვიდით, "ეზოში არავინ იყო" - [illegible] ილი გამოიწვია, რაზეც უკვე პროკურორ[illegible] ხაბაშვილი [illegible]

სხდომაზე წაკითხული იქნა ოთხოზორიას მიმართ წარდგენილ ბრალდებათა ნუსხა, რომელიც ჩამოთვლილ იყო მისი დაკავების სანქციაში, მა შორის ტერორიზმი, ბანდიტიზმი, აფხაზეთიდან ლტოლვილთა გადაადგილ ბისათვის ხელის შეშლა და სხ ალმოჩნდა, რომ ოპერატიული სა სახურის უფროსს რ. ჩიქობავა ოთხოზორიას მიერ მსგავს დანაშაუ ობაში მონაწილეობის შესახებ არავით რი ოპერატიული მასალა არ ჰქონია დ არც რაიმე სმენია. მოწმის თქმით, ისინ ერთმანეთს შეხვდრიან ტამიშში, ოჩამ ჩირეში, გალში და მან იცის, რომ ოთხოზორია აფხაზეთში იბრძოდა თა ვგამოდებით, ცნობილი იყო, როგორ ჩინებული მეომარი.

" - სხვები თუ დილას მიდიოდნ და საღამოს ბრუნდებოდნენ, გოჩა 20-3 დღე იყო ხოლმე გასული საომრად დ წინა ხაზიდან არ გამოდიოდა" - მოახსენ რ. ჩიქობავამ სასამართლოს.

შემდგომ ამისა, ადვოკატის კითხვებ შეეხო დაკავებისას ოთხოზორიას ჩხრეკ საკითხს. მოწმე დაჟინებით უარყოფ ჩხრეკაში თავის მონაწილეობას და ა საკითხზე მოხდა ძირითადი დაპირის ირება მასსა და ბრალდებულს შორი ამ უკანასკნელს, წინასწარი ჩვენებით ჰქონდა იარაღის ტარების უფლებ რომელიც იქვე, კაბინეტში ჩხრეკისა მოწმე ჩიქობავას მონაწილეობი ამოღებულ იქნა და შემდგომ უკვალო გაქრა.

ჩხრეკის ფაქტი დაადასტურა იქვ დარბაზიდან მოწმედ დაკითხულმ პოლიციის თანამშრომელმა სორდიამ. მ დაასახელა ოთხი პიროვნება, ვინ ჩხრეკას აწარმოებდა, მათ შორის ადამი ჩიქობავა და კვიტატიანი. მართალია, მოს მართლის დასმულ კითხვაზე, კონკრეტ ლად ვინ რომელ მხარეზე იდგა დ რომელ ჯიბეში უყოფდა ხელს, მოწმე ვერ უპასუხა, მაგრამ ვერც ჩიქობავა გააბათილა მისი ჩვენება, რადგან ვე ამბობდა, რითი იყო დაკავებული ი მომენტში.

პროკურორის კითხვაზე, თუ ვი აფეთქებდა ობიექტებს, მოწმემ დაასახელ ნაროუშვილის ჯგუფი, ხოლო კითხვა - ებრძოდა თუ არა ოთხოზორიას რაზ სამთავრობო ჯარებს - მიუგო, რო ასეთი ფაქტები მისთვის უცნობია.

მოსამართლის მიერ ჩიქობავას და ითხვა მიმართული იყო იმის გასარკვევა თუ იარაღის ტარების რა სახის საბუთე არსებობდა იმ დროს. აღმოჩნდა, რო ფაქტობრივად სარგებლობდნენ პოლიცი სა და სუკ-ის სამსახურეობრი მოწმობებით, რაც იმავე დროს იარაღ ნებართვაც იყო. ამ შემთხვევაში ისმ კითხვა, როგორ შედიოდა ოთხოზორი სამმართველოს შენობაში იარაღით, სად იგი ჩიქობავას რამდენჯერმე უნახავს?

საერთოდ, მოწმემ იმდროინდელი ს ტუაცია ზუგდიდს და მის ირგვლივ ამგ არად დაახასიათა:

"იყო ათასი რაზმი, ვინ ვის ებრძოდ ვინ ბანდიტობდა - ვერ გაიგებდი. მთელ საქართველოს დამნაშავე სამყარო იქ იყ და შეიქნა უმართავი პროცესები. ქალაქ ხალხს ვერ იპოვიდი, სულ იარაღიანე იყვნენ სხვადასხვა ფორმირებებიდან".

სხდომა ამაზე დაიხურა, მოწმეთა გა ოუცხადებლობის მოტივით.

# ლ. ქობალიას პრესკონფერენცია

საზოგადოება "ცოდნის" დარბაზში 19 მაისს შედგა პრესკონფერენცია კანონიერი ეროვნული გვარდიის პატიმრობაში მყოფ მებრძოლთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებით, რომელშიც მონაწილეობდნენ - თამილა ლომიშვილი, გიორგი ხოშტარია და ზურაბ ვარდოსანიძე.

პრესკონფერენციაზე თამილა ლომიშვილმა გააცნო ჟურნალისტებს ვახტანგ (ლოთი) ქობალიას განცხადებები, რომელშიც აღწერილია 1991-92 წ.წ. დეკემბერ-იანვრისა და შემდგომი წლების მოვლენები, ნათქვამია, რომ ეროვნული გვარდია და მისი სარდლობა აღიარებდა კანონიერების აღდგენისთვის მშვიდობიანი პოლიტიკური ბრძოლის გზას, მაგრამ იძულებული გახდა მოსახლეობის უფლებების დასაცავად მოეხდინა კანონიერი შეიარაღებული ძალების მობილიზება. მეორე განცხადებაში გამოთქმულია პროტესტი იმის გამო, რომ ვ.ქობალიას, მისი არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად, არ მიეცა ჟურნალისტებთან შეხვედრის საშუალება.

გ. ხოშტარიამ განაცხადა, რომ ეს საქმე ზოგადად წარმოადგენს საქართველოს მოსახლეობის უფლებების დარღვევის მაგალითს და შეიარაღებული წინააღმდეგობა პროვოცირებული იყო იმ ტერორით, რომელსაც ადგილი ჰქონდა რუსეთის დახმარებით განხორციელებული სამხედრო გადატრიალების შემდეგ. ტერორის საპასუხოდ თავდაცვითი რეაქციები საფუძვლად დაუდეს რუსეთის ჯარის მოწვევას და საქართველოს დსთ-ში შეყვანას.

გ. ხოშტარიას თქმით, საქართველოში პოლიტპატიმრების არსებობის საკითხი წარმოადგენს საერთაშორისო საზოგადოების კრიტიკის საგანს. "როდესაც აშშ-ს კონგრესში განიხილებოდა საქართველოში ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული დარღვევების საკითხი, ფაქტობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ამის ობიექტურ მიზეზად დაასახელეს პოსტკომუნისტური რეჟიმების ქვეყნებისთვის დამახასიათებელი პროWესები. ამასთან, დარღვევათა ჩვენს მიერ წარმოდგენილი სტატისტიკის შესახებ ისინი აცხადებენ, რომ რაოდენობა გაზვიადებულია. არადა, - განაგრძობს ხოშტარია, - 19 პოლიტპატიმრის საქმეში დარღვევები იმდენია, რომ ამაზე ტომები დაიწერა. იგივე დარღვევებია ლოთი ქობალიასა და მისი თანამებრძოლების საქმეში".

შემდგომ ჟურნალისტებს მიეწოდათ ინფორმაცია 17 მაისს უზენაესი საბჭოს წევრის ნუგზარ მოლოდინაშვილის დაპატიმრების შესახებ და გაკეთდა განცხადება, რომ იგი სინდისის პატიმარია.

ზ. ვარდოსანიძემ ისაუბრა ადამიანის უფლებების დაცვის ზოგად პრინციპებზე, პოლიტიკურ უფლებათა გარდა, სხვა მოქალაქეობრივი უფლებების დაცვის აუცილებლობაზე და ლოთი ქობალიასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მისი თქმით, ადამიანის უფლებათა სფეროში ჩვენთან შეიმჩნევა მიკერძოების ტენდენცია. ამის მაგალითია ლოთი ქობალიას შემთხვევა: ფაქტობრივი ხელისუფლება მას ბრალს სდებს ტერორსა და მკვლელობებში, თავად გვარდიის ნაწილიც ადანაშაულებს მას. ყოველივე ეს გახდა მიზეზი ქობალიასა და მისი თანამებრძოლების უფლებების დაუცველობის. მე ადრე გამოვაქვეყნე სტატია ვახტანგ ქობალიასა და ეროვნული გვარდიის მებრძოლთა უფლებების დაცვის შესახებ. ამ სტატიას რედაქციამ რატომღაც გაუკეთა მინაწერი - საზოგადოებრივი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით ორადაა გაყოფილიო. არადა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხში საზოგადოებრივ აზრს მნიშვნელობა არა აქვს. ბუნებრივი სტაბილიზაციის მთავარ პირობად ზ. ვარდოსანიძემ დაასახელა ადამიანის უფლებების დაცვა, რამეთუ დიქტატურით მოპოვებული ხელოვნური სტაბილიზაცია არამდგრადია.

მან მოიხმო ადამიანის უფლებების დეკლარაციის ის მუხლები, რომელშიც ლაპარაკია იმის თაობაზე, რომ ჩაგვრა და ტირანია არსებითად ხდება იარაღით თავდაცვის მიზეზი და მოგერიებისას, თავდაცვის ან უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში, კოდექსი ხსნის ბრალეულობის საკითხს.

თ. ლომიშვილმა აცნობა ჟურნალისტებს, რომ ბალუაშვილმა დაითანხმა ვ.ქობალია შევარდნაძესთან შეხვედრაზე მხოლოდ აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით და როგორც კი გაირკვა, რომ შევარდნაძეს ეს შეხვედრა სჭირდებოდა ბრალდებულის საკომპრომეტაციოდ, მან სასტიკი უარი განაცხადა.

შემდეგ ჟურნალისტთა კითხვებზე პასუხი გასცა ეპმ "ჭყონდიდელის" გამგეობის წევრმა ჯემალ გამახარიამ, რომელიც ძირითადად შეეხო აფხაზეთის ომის საკითხებს. მან მოუთხრო საზოგადოებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების მიზნით აფხაზეთის ომში ეროვნული გვარდიის ნაწილების მონაწილეობისა და პრეზიდენტის საქართველოში დაბრუნების შემდეგ მიღებული ზომების შესახებ, კერძოდ, ოჩამჩირეში ფაქტობრივი ხელისუფლების შეიარაღებული ძალების სარდლობასთან პრეზიდენტის შეხვედრისა და ერთობლივი სამხედრო ოპერაციის დაგეგმვის შესახებ. ჯ.გამახარიას აზრით, ქობალია აქტიურად ემზადებოდა აფხაზეთის გასათავისუფლებლად. კიევში მას ჰპირდებოდნენ თანამედროვე სამხედრო ტექნიკას და მებრძოლ ძალ

თ. ლომიშვილმა დაამატა, რომ მის დაპატიმრ წინ უსწრებდა მასთან ინტერვიუს გამოქვეყ სადაც ქობალია აფხაზეთის საკითხს შეეხო. ერთ კვირაში დაუბრუნებდა საქართველ აფხაზეთსო, - განაცხადა თ.ლომიშვილმა. შემდ იგი შეეხო ქობალიას დაპატიმრების გარემოებ როგორ დააკავეს 4 მაისს უკრაინაში, თავზე ტომა გადაცმული გაიყვანეს ტყეში, სადაც ორი კვირ განმავლობაში მიმდინარეობდა მისი დაკითხვა, ვდათ რაღაც ქოხში ხელბორკილებით, მოუწყ დახვრეტის იმიტაცია, შემდეგ იგი დაჰკითხა უშ როების სამსახურმა.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, იყვნენ გამსახურდ საქართველოში დაბრუნების შემდეგ გვარდია უცხო ქვეყნის ჯარიდან დაქირავებულნი, თ. ლომ შვილმა უპასუხა, რომ ასეთი ფაქტები მართლ იყო. დაქირავებულები იყვნენ, მაგრამ დასავლეთ სიტუაციას კანონიერი ხელისუფლება ვეღარ აკ ტროლებდა, ის ბლოკირებული აღმოჩნდა დ პროვოკაცია მათგან დამოუკიდებლად მოხდა. გვარ დაიშალა და ამის მიზეზი იყო გვარდიაში უც ჯარების მონაწილეობა. ისინი ამაში ადანაშაულ სამხედრო საბჭოს.

პრესკონფერენციის დასასრულს, ტექნიკური მ ეზების გამო, არ შედგა ვიდეომასალისსრული ნება.

ნ. ბახტაძე

# ძიების მასალები დაკარგეს

12 მაისს განახლდა “ზ. გამსახურდიასა და მის მომხრეთა საქმის“ სასამართლო განხილვა ორი განსასჯელის მიმართ. “გამოჯანმრთელებული“ ომარ კოჭლამაზაშვილი და ზურაბ ბარძიმაშვილი როგორც იქნა წარსდგნენ სასამართლო კოლეგიის წინაშე (თავმჯდომარე ლერი საყვარელიძე). აღსანიშნავია, რომ პროცესზე პროკურორად გამოდის ჩვენთვის უკვე ნაცნობი ნ. ბეჟიტაშვილი, რომელიც ე.წ. “კავსაძის გამტაცებელთა“ პროცესზე სახელმწიფო ბრალმდებელს წარმოადგენდა და საზოგადოებას თავისი აგრესიულობით დაამახსოვრა თავი.

სხდომის გახსნის შემდეგ სასამართლო კოლეგიამ განსასჯელთა საზოგადოებრივ დამცველად დაუშვა ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის მიერ წარმოდგენილი გ.ხოშტარია. შემდეგ წაკითხულ იქნა განსასჯელ ზ. ბარძიმაშვილის განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ეს პროცესი წარმოადგენს მორიგ ფარსს და ის მხოლოდ იმისთვის იღებს მონაწილეობას შევარდნაძის მიერ დაგეგმილ ამ სპექტაკლში, რომ სააშკარაოზე გამოიტანოს სახელმწიფოს მეთაურის მიერ არაერთხელ საჯაროდ “ტერორისტების პროცესად“ წოდებული ამ საქმის არსი.

მოსამართლემ გამოაქვეყნა მსჯავრდებულ ზურაბ გოგიჩაშვილის განცხადება, რომელშიც იგი პროტესტს გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ განსასჯელ ბარძიმაშვილის საქმეზე მოწმედ გამოყვანის გამო იგი არ გადაჰყავთ კოლონიაში. მართლაც, “ზვიად გამსახურდიასა და მის მომხრეთა საქმის“ სასამართლო განხილვა თითქმის ორ წელიწადს მიმდინარეობდა და ვინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდება დარჩენილი ორი განსასჯელის გასამართლება. მით უფრო, რომ აწ უკვე მსჯავრდებული 17 პატიმარი, როგორც ამას სავსებით სამართლიანად ასაბუთებს ბარძიმაშვილი, პირდაპირი და არაპირდაპირი მტკიცებულებებით მასთან არიან დაკავშირებულნი - ერთი საქმის მონაწილეებად და ერთი ბანდის წევრებად არიან მიჩნეულნი. ამრიგად, ბარძიმაშვილი კატეგორიულად მოითხოვს, “გამსახურდიას საქმის“ 17-ვე მსჯავრდებულის მოწმედ იქნეს მოყვანილი მის სასამართლოზე.

სასამართლო კოლეგიამ მოისმინა განსასჯელ ბარძიმაშვილისა და მისი ადვოკატების - ქ. ბექაურისა და გ. ხოშტარიას მოთხოვნა, საქართველოს რესპუბლიკის სსკ 202-ე, 236-ე მუხლებისა და უზენაესი სასამართლოს პლენუმის 29 დეკემბრის №11 დადგენილების თანახმად, მიეცეთ საშუალება გაეცნონ “ზ. გამსახურდიასა და მის მომხრეთა საქმის“ მასალებსა და სასამართლო განხილვის ოქმებს. როდესაც სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარემ საქმის სრულყოფილად გაცნობის მოთხოვნაზე მირზა დოლიძის მსგავსად განაცხადა - “ჩვენ მოგცემთ საშუალებას გაეცნოთ იმას, რაც უშუალოდ თქვენ გეხებათ. სხვას რაც ეხება, თქვენი საქმე არ არის“ - ბარძიმაშვილმა გამოთქვა პროტესტი:

“ - მე არა მაქვს ამ საქმის მონაწილეთა განაჩენი, არ ვიცნობ სასამართლო სხდომის ოქმებს, არ ვიცი რა პოზიცია გამოხატა სასამართლომ ჩემს მიმართ, არ ვიცნობ ჩემს ე. წ. “თანამონაწილეთა“ მიერ სასამართლოს მსვლელობისას მიცემულ ჩვენებებს, სასამართლოს მსვლელობისას მე არ მიმიყვანეს მოწმედ. ჩვენ გაგვაერთიანეს ერთ საქმედ და ამჟამად თქვენ ვალდებული ხართ წარმომიდგინოთ საქმის მთელი მასალები სრულად და არა შერჩევით“.

შემდეგ სასამართლო კოლეგიამ განჩინებით გააერთიანა სასამართლოში ცალ-ცალკე წარმოებად შემოსული კოჭლამაზაშვილისა და ბარძიმაშვილის საქმეები.

ბარძიმაშვილმა სასამართლოს მისცა ვრცელი განმარტება იმის შესახებ, თუ რას გულისხმობდა საქმის მასალების სრულყოფილად გაცნობაში:

“ჩემი საქმე 4 აგვისტოს გამოყოფილი იყო, მძიმე ავადმყოფობის გამო, “ზ. გამსახურდიას საქმის“ სასამართლო განხილვიდან. გადაყვანილი ვიყავი ცენტრალურ რესპუბლიკურ საავადმყოფოში, სადაც სრულ იზოლაციაში მამყოფებდნენ, ჩაკეტილი ვიყავი. 13 დღის შემდეგ მომიტაცეს საავადმყოფოდან და მომათავსეს ციხეში. იმავე დღეს სუკ-ის გამომძიებელმა შავაძემ მომაკითხა და მომთხოვა ჩვენების მიცემა დაუდასტურებლობის გამო მიცემულ ჩვენებასთან დაკავშირებით. მე უარი ვუთხარი. 1 თვის შემდეგ კიდევ მოვიდნენ სუკ-იდან მიმართვით, რომ მე გადავეყვანე სუკ-ის იზოლატორში. ციხის ექიმებმა არ მისცეს ამის უფლება.

ბ-ნო სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარევ! თქვენ იცით, რომ მე ციხიდან წამიყვანეს ვინმე კვეტენაძის სასამართლოზე მოწმედ. ამ კვეტენაძესთან დაკავშირებით მე ძიებაშიც კი არავის დაუკითხივარ, ჩვენებაც არა მაქვს მიცემული, მაგრამ რატომღაც სუკ-ის ჩანაწერებში მის საქმეში ვფიგურირებ - კვეტენაძის საქმე სუკ-მა გამოიძია. მათვე გაასამართლეს ეს კვეტენაძე. თურმე იმ მასალებშიც გავდივარ ორგანიზატორად. გთხოვთ, ეს მასალებიც წარმომიდგინოთ. ასევე მოვითხოვ, გამაცნოთ ბრალდებები, რომელზეც მე ხელი მაქვს მოწერილი სუკ-ში და რომლებიც დღესდღეობით სადღაც გაქრა. სხვათაშორის, სუკ-ის მაღალი რანგის ჩინოვნიკები სწორედ ამ გამქრალი საქმეების შესახებ წერდნენ გაზეთებში. თუ გნებავთ გაზეთსაც წარმოგიდგენთ - აქ მაქვს.“

მოსამართლე ლ. საყვარელიძემ გაკვირვება გამოთქვა ბარძიმაშვილის კვეტენაძის სასამართლოზე მოწმედ გაყვანის ფაქტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ამის შესახებ არაფერი იცოდა. მის განცხადებას ბარძიმაშვილის აღშფოთება მოჰყვა: “როგორ, მე როგორც პატიმარი თქვენ გერიცხებით, მე სადღაც მივყავარ თქვენი ნებართვის გარეშე და თქვენ არაფერი იცოდით?! ესე იგი ნებისმიერს შეუძლია ჩემი წაყვანა სადაც უნდა“.

მოსამართლემ ასე ახსნა ეს ფაქტი: “სასამართლოში იყვნენ, კვეტენაძესთან დაკავშირებით მოიტანეს ოფიციალური დოკუმენტი - გვინდა იზოლატორში რამდენიმე კითხვა დავუსვათ თქვენს დაქვემდებარებაში მყოფ პატიმარსო. მე თანახმა ვიყავი, არ ვიცოდი, რომ სასამართლოში წაგიყვანეს. თუ ეს მართლაც ასე იყო, არავის აქვს უფლება, ჩემი ნებართვის გარეშე სადმე წაგიყვანოთ და ამას სათანადო რეაგირების გარეშე არ დავტოვებო“.

საყვარელიძემ დაავალა პროკურორ ბეჟიტაშვილს “გაერკვია და დაინტერესებულიყო განსასჯელ ბარძიმაშვილის იმ საქმეებით, რომლებსაც იძიებდა სუკ-ი“. ადვ. ბექაურმა დააკონკრეტა სუკ-ის მიერ ბარძიმაშვილის მიმართ “გამოძიებული“ საქმეები: ამიერკავკასიის ჯარების მაღალი რანგის ოფიცრებზე - სარდალ პატრიკეევზე, გრეკოვზე - თავდასხმის მცდელობები, თ. ყურაშვილის - “ბულას“ - მკვლელობის ფაქტი. ადვოკატის თქმით, საქმის მასალების ერთ-ერთ ტომში ბარძიმაშვილი წერს - “ვადასტურებ “ბულას“ მკვლელობის ფაქტს“.

მოსამართლემ განაცხადა, რომ სასამართლო კოლეგიისთვის წარმოდგენილ საქმეში ბარძიმაშვილის მიმართ არის მხოლოდ სამი ეპიზოდი, დანარჩენი საქმეები კოლეგიისთვის ცნობილი არ არის.

განს. კოჭლამაზაშვილმა მხარი დაუჭირა ბარძიმაშვილის შუამდგომლობას და თავის მხრივ მოითხოვა სასამართლო სხდომების ოქმების გაცნობა 1994 წლის 12 სექტემბრიდან, როდესაც მისი საქმე გამოყოფილი იქნა ცალკე წარმოებად “გამსახურდიას მომხრეთა საქმიდან“.

სხდომის ბოლოს ადვ. ბექაურმა სიტყვა მოითხოვა რეპლიკისთვის:

“ - რვა თვის შემდეგ ძლივს მივაღწიეთ კანონის უხეში დარღვევით გამოყოფილი ამ საქმის გაგრძელებას. მოგიწოდებთ, მაგალითად ნუ აიღებთ წინამორბედი სასამართლო კოლეგიის შემადგენლობის ტენდენციურობას“.

მცირე ხნის კამათის შემდეგ გადაწყდა საქმისა და სასამართლო სხდომის ოქმების გასაცნობად მისცემოდათ ათი დღე და თანაც უზენაესი სასამართლოს შენობაში.

**ნინო ჩეჩელაშვილი**

# როცა გვენცაძე გაიტაცეს, რაიონი უმართავი იყო

23 მაისს გაგრძელდა განსასჯელ ჯემალ ქარდავას სასამართლო პროცესი. კოლეგიის თავმჯდომარეა “კავსაძის გამტაცებელთა საქმის“ სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარე ირაკლი ბიბილაშვილი, პროკურორი - ვ. წერეთელი.

შსს თანამდებობის პირთა გატაცების ეპიზოდთან დაკავშირებით მოწმედ დაიკითხა მერაბ რაფავა - 1992 წლის აპრილში შს მინისტრის მოადგილე. მან აღწერა იმ მოლაპარაკების ვითარება, რომლის დროსაც იყვნენ გატაცებული შსს თანამდებობის პირები - გვენცაძე, სარალიძე, როგავა, მწარიაშვილი, ალასანია. მისი თქმით, მოლაპარაკება მიზნად ისახავდა შეთანხმებას ცხენისწყლიდან ენგურამდე ტერიტორიის დასაცავად ხელისუფლებისა და ეროვნული გვარდიის ერთობლივი ჯგუფის შექმნის თაობაზე. მეორე მხარეს წარმოადგენდნენ - ვახტანგ ქობალია, ჯემალ ქობალია და ვალტერ შურღაია. განსასჯელ ქარდავას ის არ იცნობს და არც არასოდეს უნახავს, გატაცებაში იგი არ მონაწილეობდა. რაფავას განცხადებით, თავად გატაცებულ პირებს შემდგომ აღუნიშნავთ, რომ ტყვეობაში მათ სამაგალითო პატივისცემით ეპყრობოდნენ.

წალენჯიხის პოლიციაზე თავდასხმის ფაქტთან დაკავშირებით დაიკითხა მოწმე მერაბ შეროზია, რომელიც 1992 წელს მუშაობდა წალენჯიხის პროკურორის თანაშემწედ. მისი თქმით: 1992 წლის 3 ოქტომბერს დაკავებული ჯეჯელავების ბანდის ოთხი წევრის გამოსახსნელად წალენჯიხის პოლიციას თავს დაესხა შეიარაღებული ჯგუფი. ამის თაობაზე მან აღძრა საქმე და შეტყობინება გაუგზავნა რესპუბლიკის პროკურატურას. ორი თვის შემდეგ საქმე შეწყვეტილ იქნა პასუხისაგებ პირთა დაუდგენლობის გამო: “საგამომძიებლო მოქმედებები ვერ ჩავატარე, არეული დრო იყო, სამსახურში არავინ არ დადიოდა. რაიონი უმართავი იყო“. როგორც გაირკვა, ამ საქმის აღძვრის დადგენილება არ არის ხელმოწერილი: “ეს ჩემი დაუდევრობაა, ხელისმოწერა გამომრჩა“- განაცხადა შეროზიამ. საქმე განახლდა მხოლოდ 1994 წლის 20 იანვარს, ქარდავას დაკავებიდან 16 დღის შემდეგ. კურიოზული ის არის, რომ შეროზია ქარდავას არ იცნობს, მისი თავდასხმაში მონაწილეობის შესახებ არაფერი იცის, არ დაუკითხავს და არც იცის, როდის დააკავეს. თუმცა წინასწარ ძიებაში მიცემული ჩვენების თანახმად, მას გაგონილი ჰქონდა, რომ ქარდავა იყო შეიარაღებული ფორმირების წევრი, მაგრამ დამნაშავე იყო თუ არა, არ იცოდა.

სხდომაზე გაირკვა, რომ სასამართლოს ჯერ განსასჯელის პიროვნებაც კი არ დაუდგენია: საქმეში იგი ფიგურირებს ჯემალ ქარდავად, ხოლო მოწმეები მას იცნობენ როგორც კახას.

მოწმე სალიამ, წალენჯიხის ჩაის ფაბრიკის დირექტორმა, დაადასტურა, რომ ნახა უიარაღო ქარდავა პოლიციის შენობასთან, როდესაც იგი ეხვეწებოდა ზური ჯეჯელავას: “წალენჯიხელი ვარ და აქ რაიმე არ მოხდესო“. მისი თქმით, ქარდავას პატივისცემით ჯეჯელავებს წალენჯიხაში არაფერი დაუშავებიათ: “სამი თვე ერთად ვიდექით, ვმორიგეობდით, გვითხრეს, თვითონ მოუარეთ თავსო“.

სხდომის დასასრულს დაიკითხა წალენჯიხის რ-ნის პროკურორი - თამაზ მებონია. მოწმემ განაცხადა, რომ თავდამსხმელებმა მოითხოვეს ჩხრეკის დროს ამოღებული ნივთები და დოკუმენტაცია. ქარდავა იქ არ უნახავს, იცნობს, როგორც პატიოსან კაცს. გაირკვა, რომ მებონიას გაუცია სანქცია ქარდავას პატიმრობაში აყვანის თაობაზე კომენდანტის საათის დარღვევის გამო. მას სანქცია გაუცია ისე, რომ ეჭვმიტანილი არ უნახავს და ბრალი წაუყენა დაკავებიდან მხოლოდ 6 დღის შემდეგ.

**ირაკლი დგებუაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იგორ თოლორდავას - ოთხი წლით პატიმრობა

17 მაისს უზენაეს სასამართლოში დასრულდა იგორ თოლორდავას საქმის განხილვა. სასამართლო კოლეგიამ ლ. ბოჭორიშვილის თავმჯდომარეობით განაჩენი გამოიტანა. ხალხით სავსე დარბაზში გაისმა ნაცნობი ფრაზები: “სასამართლო კოლეგია ვერ გაიზიარებს ი.თოლორდავას ჩვენებებს თავის მართლების ნაწილში“, თუმცა იქვე ითქვა, რომ მან - როგორც წინასწარი ძიების დროს, ისე სასამართლო გამოძიებისას - თავი დამნაშავედ არ სცნო.

მოსამართლე ლ. ბოჭორიშვილმა ჩამოთვალა იმ მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც ადასტურებენ ი. თოლორდავას ბრალს და მათ შორის ამგვარ მტკიცებულებად დაასახელა ზუგდიდის პოლიციაზე თავდასხმის დროს დაღუპული პოლიციელების გვამების ამოცნობის აქტიც: თურმე დაღუპულთა ვინაობის დადგენის ფაქტი განსასჯელის ბრალეულობაზე მეტყველებს (?!).

ამდენად, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ “ი. თოლორდავამ მონაწილეობა მიიღო სახელმწიფოს წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში, ამ მიზნით მონაწილეობა მიიღო ბანდიტურ თავდასხმებში“ და საქართველოს რესპუბლიკის სსკ 65-ე და 78-ე მუხლების საფუძველზე დამნაშავედ სცნო იგი.

ამავე დროს, სასამართლო კოლეგიამ, სსკ 37-ე მუხლის თანახმად, მხედველობაში მიიღო განსასჯელის პიროვნება - კერძოდ ის გარემოებები, რომ იგი ადრე სამართალში არ ყოფილა, ჰყავს მწოლიარე მოხუცი დედა და მცირეწლოვანი შვილი, წალენჯიხის რ-ნის მოსახლეობის 500-ზე მეტი წარმომადგენელი მას დადებითად ახასიათებს. ამასთან, სსკ 39-ე მუხლის თანახმად, შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით - სიცოცხლე შეუნარჩუნა ქუთაისის პოლიციის თანამშრომელს. - სასამართლო კოლეგიამ შესაძლებლად მიიჩნია სსკ 45-ე მუხლის გამოყენება, რომელიც იძლევა უფრო მსუბუქი ან უმდაბლეს საზღვარზე ნაკლები სასჯელის დანიშვნის საშუალებას, და იგორ თოლორდავას მიუსაჯა ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით და ქონების კონფისკაციით.

**ნინო ჩეჩელაშვილი**

# დააპატიმრეს დეპუტატი ნუგზარ მოლოდინაშვილი

17 მაისს საქართველოს ჰელსინკის კავშირის მე-3 რესპუბლიკური ყრილობის მიმდინარეობისას საზოგადოება “ცოდნის“ შენობას მოადგა პოლიციის მთელი რაზმი ქალაქის სამმართველოს მაღალი თანამდებობის პირთა მეთაურობით. პოლიციელთა სიმრავლემ ყრილობის მონაწილეებს თავიდან აფიქრებინა, რომ განზრახულია ღონისძიების ჩაშლა და მისი მონაწილეების მასობრივი დაპატიმრება. მაგრამ პოლიციელები შემოიფარგლენ შენობის წინა მოედნის პიკეტირებითა და დარბაზში ჯაშუშების შემოგზავნით. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ მათი ხელმძღვანელობა განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის, ჰელსინკის კავშირის გამგეობის წევრის ნუგზარ მოლოდინაშვილის მიმართ.

სხდომის დამთავრების შემდეგ, დაახლოებით საღამოს 9 საათზე, შენობიდან გამოსულ ნ. მოლოდინაშვილს ვერის ბაღის კიბეებთან დაეწია პოლიციელთა ერთი ჯგუფი და აცნო, რომ იგი დაპატიმრებულია.

დაპატიმრებული დეპუტატიიმყოფება სუკ-ის წინასწარი გამოძიების იზოლატორში, საქმეს აწარმოებს პროკურატურა.გამომძიებელმა ოთარ ჯაფარიძემ აცნო პატიმრის ოჯახის წევრებს, რომ მის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ბრალდებით - სამშობლოს ღალატი, სახელმწიფო ხელისუფლების დამხობის მცდელობა და ბანდიტური ფორმირების ორგანიზება. მანვე შესთავაზა უახლოეს დროში ადვოკატის აყვანა. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ნუგზარ მოლოდინაშვილის უფლებებს წინასწარ ძიებაში დაიცავს ადვოკატი ჯ. ჯაყელი.

# ბუნდესტაგში იმსჯელებენ “ზვიად გამსახურდიას საქმეზე“

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, გერმანიის ფედერალური პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტი უახლოეს სხდომაზე, მის სახელზე გერმანიის მოქალაქეებისგან მოსული საპროტესტო წერილების საფუძველზე, იმსჯელებს “ზვიად გამსახურდიასა და მის მომხრეთა საქმის“ გახმაურებული პროცესისა და მასში მონაწილე 19 პოლიტპატიმრის მიმართ დაშვებული კანონდარღვევების შესახებ. როგორც ვხედავთ საერთაშორისო საზოგადოების ინტერესი ამ მართლაც ისტორიული მნიშვნელობის პროცესის მიმართ არ ცხრება.

# ტრიბუნალი რეკორდულ ვადებში მოქმედებს

გლდანის რაიონის სამხედრო სასამართლო კოლეგიამ ხუბუას თავმჯდომარეობით სარეკორდო დროში - სამ დღეში - დაასრულა ეროვნული გვარდიის მაიორის, რამაზ ვანიშვილის საქმის განხილვა. ვანიშვილმა უარყო მის მიმართ წაყენებული ყველა ბრალდება და არ სცნო თავი დამნაშავედ. სასამართლო კოლეგიამ თავის მხრივ განსასჯელი დამნაშავედ სცნო სამხედრო დანაშაულობებში და მიუსაჯა ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით.

## ქრონიკა

### "ამერიკის ხმა"

21 მაისი

კვირას, დღის მეორე ნახევარში ჩეჩნეთში, გუდერმესთან, ააფეთქეს სარკინიგზო გზების ჯებირი. აფეთქების შედეგად რელსებიდან გადმოვიდა 12 სატვირთო ვაგონი. მსხვერპლი არ არის. დანგრეულია გზები, მოძრაობა ამ მონაკვეთზე შეწყვეტილია. აგრეთვე ააფეთქეს 80 მ. სიგრძის სარკინიგზო ჯებირიც.

ბოლო დღე-ღამის განმავლობაში გროზნოში აღრიცხულია 8 შეიარაღებული თავდასხმა კომენდატურებსა და საკომენდანტო პოსტებზე.

ინტერფაქსის ცნობით, მიმდინარეობს სასტიკი ბრძოლები ჩეჩენ ბოევიკებსა და რუსეთის ძალებს შორის სოფ. სერჟენ-იურტსა და ჩირი-იურტის მახლობლად.

### "ბი-ბი-სი"

ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ მიაღწია სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყებაზე შეთანხმებას რუსეთსა და ჩეჩნეთს შორის. ჩეჩნეთში მისიის მეთაურის შანდორ მაზერას თქმით, ეს მოლაპარაკება იქნება პირველი, საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით ჩეჩნეთში რუსეთის ჯარის შეყვანის დღიდან.

ფედერალურმა ჯარებმა ღამით დაცხრილეს სოფლები და ქალაქები ფრონტის ხაზის გასწვრივ. მათ შორის სერჟენ-იურტი.

### "რუსეთის ხმა"

23 მაისი

ხუთშაბათს გროზნოში, შესაძლოა, დაიწყოს მოლაპარაკება კრიზისის მოსაგვარებლად ჯოჰარ დუდაევის მონაწილეობით. ამ შეხვედრის ინიციატორია "ეუთო"-ს მისია ჩეჩნეთის რესპუბლიკაში.

### "თავისუფლება".

23 მაისი

მოლდავეთში რუსეთის მე-14 არმიის მთავარსარდალმა ა.ლებედმა განაცხადა, რომ თუ თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა რეალიზებას გაუკეთებს თავის გეგმას ამ არმიის მიმართ, მოლდავეთი შეიძლება სულ მალე ჩეჩნეთს დაემსგავსოს. ჟურნალისტთა კითხვაზე, როგორ ესახება ა.ლებედს თავისი მომავალი რუსეთის პოლიტიკაში, მან უპასუხა, რომ იგი არ გამორიცხავს თავის მონაწილეობას დეკემბრის საპარლამენტო არჩევნებში.

უკრაინის პრეზიდენტმა კუჩმამ განაცხადა, რომ მისმა ქვეყანამ უარი უნდა თქვას მიუმხრობლობის პოლიტიკაზე, რათა მხარი აუბას ნატოს ბლოკის აუცილებელ გაფართოვებას. კუჩმამ ეს განცხადება გააკეთა ლატვიაში ვიზიტის დროს.

დასავლეთ უკრაინაში დაიწყო აშშ-სა და უკრაინის ჯარების ერთობლივი სამხედრო წვრთნა, რომელშიც მონაწილეობს 300 მდე ამერიკელი და 400 უკრაინელი სამხედრო მოსამსახურე. წვრთნას ესწრება აშშ-ს შეიარაღებულ ძალთა შტაბების მეთაურების გაერთიანებული კომიტეტის ხელმძღვანელი გენერალი შალიკაშვილი.

უნგრეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უარყო თავისი განცხადება იმის თაობაზე, რომ ჯოჰარ დუდაევი მიიღებს მონაწილეობას მოლაპარაკებაში რუსეთის ხელმძღვანელობასთან. მოლაპარაკებები უნდა გაიმართოს ეუთო-ს შუამავლობით. სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დუდაევის მონაწილეობის საკითხი ღიად რჩება, მაგრამ მან ბოდიში მოიხადა ადრე გაკეთებული განცხადების გამო. ამჟამად უნგრეთი თავმჯდომარე სახელმწიფოა ეუთო-ში.

პრეზიდენტმა ელცინმა და პრემიერ-მინისტრმა ჩერნომირდინმა დაადასტურეს თავიანთი პრინციპული მზადყოფნა ჩეჩენ მეამბოხეებთან მოლაპარაკებისთვის. ეს განაცხადა ელცინის პრესმდივანმა მედვედევმა. განცხადებაში ნათქვამია, რომ 25 მაისს გროზნოში მოლაპარაკებაზე რუსეთის მხარეს წარმოადგენს ჩეჩნეთში ფედერალური ხელისუფლების ტერიტორიალური სამმართველოს უფროსი სემიონოვი. ჩეჩნეთის დელეგაციას, ალბათ, უხელმძღვანელებს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი იმაევი.

# უკვდავების ჩურჩული

ჰუმანიზმითა და პროგრესით ნიშანდებული დასავლური კულტურის და მისი ერთი შეხედვით უდიდესი მონაპოვარის ალტერნატივად მსოფლიოში ყოველთვის არსებობდნენ კულტურები, რომლებიც, მართალია, კონკურენციას ვერ უწევდნენ დასავლური ყოფის ტოტალურ ბრწყინვალებას, მაგრამ თავიანთი ხასიათითა და ტენდენციებით მამხილებელ მნიშვნელობას იძენდნენ. ამგვარი კულტურების არსებობა ჯანსაღი და ზნეობრივი ადამიანის თვალში ყოველთვის ეჭვქვეშ აყენებდა დასავლური კულტურის აღმატებულ მნიშვნელობას და ხაზს უსვამდა იმას, რომ დასავლური კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილი პროფანირებული ქრისტიანული სარწმუნოების პროდუქციაა, რომ ამ თვალწარმტაც ხელოვნების ნიმუშთა მიღმა ყალბი ღირებულებები არსებობს.

არა და, დასავლურმა კულტურამ საუკუნეების მანძილზე მშვენივრად მოირგო ჰეგემონის როლი. იგი გახდა მეტრი და კამერტონი, ნოვატორი და შემფასებელი ყოველივესი, რაც მსოფლიოში იქმნებოდა. იმდენად ძლიერი აღმოჩნდა დასავლური კულტურის ექსპანსია და გავლენა მსოფლიო საზოგადოებრიობაზე, რომ თითქმის ყველა ქვეყანაში დამკვიდრდა ტენდენცია, - ვინც დასავლური ცივილიზაციისკენ არ ილტვის ბოგანო და ჩამორჩენილია. ასე მიივიწყა მსოფლიომ აღმოსავლური ცივილიზაციები და მის მიერ შექმნილი უდიდესი კულტურები. თუმცა ეს არ მომხდარა იმის გამო, რომ დასავლური რამეთი ჯობია აღმოსავლურს უბრალოდ, ამ აზრის მუდმივი პროპაგანდით დასავლეთმა ერთგვარ წარმატებას მიაღწია.

***

ადამიანი, რომელიც არა მარტო დაშორდა ღმერთს, არამედ მიივიწყა კიდეც შემოქმედი, აღმოჩნდა მხოლოდ პირადი პრობლემების წინაშე. ამ თვალსაზრისით მეტად მომგებიანი და ღვთიურ კანონებთან დაშორებული ადამიანისთვის მაამებელი პოზიცია აირჩია დასავლურმა კულტურამ, წინ წამოსწია მისი ბედის, მარტოობის, გაუცხოვების და თვითგაუცხოვების პრობლემები და აქვე დასვა მისი გადარჩენის საკითხი.

დასავლური კულტურა ადამიანში სისტემატურად აჩლუნგებდა სულის უკვდავების შეგნებას, ხოლო ჰუმანისტთა ფორმულა ასე ჩამოყალიბდა: "ადამიანი მოკვდავი არსებაა" და ამაში გამოიხატა დასავლური პროგრესის არსი. შესაბამისად, ადამიანი, რომელსაც წაართვეს სულის უკვდავების მარადიული იდეა, მისთვის ბრძოლისა და თავგანწირვის შესაძლებლობა, მარტო და შეჭირვებული აღმოჩნდა მიმდინარე კატასტროფებისა და კატაკლიზმების წინაშე. მას უკვდავი ღმერთი წაართვეს, რომელმაც უნდა იხსნას, მოკვდავ ადამიანს კი არ ძალუძს მეორე ადამიანის შველა, რამეთუ თითონაც იგივე პრობლემების წინაშეა, ასე რომ, ადამიანი დარჩა მარტო, გაუცხოვებული ღმერთსა და საზოგადოებას და, რაც მთავარია, საკუთარ პირველხატს, აქ კი თავს იჩენს სასოწარკვეთა, ანარქიზმი და ნიჰილიზმი, რაც ევროპული პროგრესის უკანასკნელი ეტაპია.

***

ასე დაიწყო დასავლურმა საზოგადოებამ სრული, ხრწნა. "ადამიანი უნდა გათავისუფლდეს ღმერთისგან", "შეუძლებელია ღმერთის არსებობა ამ საუკუნეში" - ასეთია დასავლური კულტურის შემოქმედთა უმრავლესობის აზრი. დასავლურმა კულტურამ დაიწყო იუდას გამართლება (ბორხესი); დაიბადა მომხიბვლელი და სიმპათიური სატანის სახე (ვოლანდი); ეჭვქვეშ დადგა მაცხოვრის ორბუნებოვნების საკითხი და დაიწყო ამ თემის ინტერპრეტირება და პაროდირება (ჯოისი - ქრისტიზ).

ღმერთი აღარ არის, მაშ ვინ უნდა გადაარჩინოს ადამიანი? ვინ არის მისი მხსნელი? დასავლეთმა ამ კითხვასაც სახელდახელოდ უპასუხა: ადამიანის მხსნელია უცდომელი ადამიანი (პაპი), ზეკაცი (ზარატუსტრა), სუპერმენი (რემბო) და არა ღმერთკაცი (მაცხოვარი). ამ თემის ინტერპრეტირება დასავლური და აღმოსავლური ეკლესიების განყოფისთანავე დაიწყო. პაპის უცდომელობის დოგმატის ტრანსფორმაცია ნიცშეს ზეკაცის - ზარატუსტრას ყოვლისმომცველ თეორიაში აისახა და ლოგიკური გაგრძელება ჰპოვა სუპერმენის იდეალიზებულ ქმედებაში. ყოველივე ეს ხდებოდა ეპოქის შესაბამისად, კაცობრიობის განვითარების ჰეგელის თეორიის: რელიგია -ფილოსოფია - ხელოვნება ვულგარიზებული სტერეოტიპებით.

მას შემდეგ, რაც რელიგია დასავლეთში ბუტაფორიად იქცა, ხოლო პაპისტური მესიანიზმის იდეამ პოპულარობა დაჰკარგა, სარწმუნოებას ჩამოშორებულ საზოგადოებაში, საჭირო გახდა ახალი, "გონიერი ადამიანისთვის" უფრო თანამედროვე და რაციონალური კერპის შექმნა და ასეთი გახლდათ ნიცშეს ზარატუსტრა და მის მიერ შემუშავებული "ახალი ევანგელე". ტექნოკრატიისა და ურბანიზმის გარემოში ნიცშეს გმირმაც მალე დაჰკარგა ღვთაებრივი იმიჯი და საჭირო გახდა ამ სახე-ხატის ხელახალი ინტერპრეტირება ხალხისთვის უფრო მისაწვდომი ფორმით. საუკუნის მიწურულის ეს მისსია წარმოებითმა ხელოვნებამ - კინემატოგრაფმა იკისრა, რომელმაც უკვე მოასწრო მასების დატყვევება და მათზე მანიპულირების ფუნქციაც მშვენივრად შეითვისა. მართლაც, ზარატუსტრა, თანამედროვე სტანდარტებს მორგებული, ახალი ფორმითა და მენტალიტეტით სუპერმენის სახით კვლავ წარსდგა მრავალათასიანი მაყურებლის წინაშე. ასე იცვლიდა სახეს ეპოქის შესაბამისად დასავლეთის მიერ მოგონილი ერთი ნების, ერთი არსის, ერთი ბუნების სამპიროვნული სახე-ხატი ცრუ მესიისა.

***

დასავლური კულტურის მეტაფიზიკური ნიჰილიზმი საფუძვლად დაედო პრაქტიკულ ნიჰილიზმსაც, რაც გამოიხატა თვიგადარჩენის პრობლემაში. თავგანწირვის იდეამ (სარწმუნოებისთვის, სამშობლოსთვის, მოყვასისთვის) გაუგებარი მნიშვნელობა შეიძინა პრაგმატული ადამიანისთვის, მას შემდეგ, რაც დასავლური კულტურის მეშვეობით დანერგილ იქნა აზრი, რომ ღმერთი უნდა მოიკლას, ისედაც მცირედმორწმუნე ადამიანები კიდევ უფრო მიეჯაჭვნენ ამქვეყნიურ ყოფას და მის საცდურებს, რადგან სულის უკვდავების მარადიულ იდეას მოწყვეტილნი "ამა სოფლის სიამეს" დაეწაფნენ, ბრძოლა სულის გადარჩენისთვის (ანუ ბრძოლა ეშმაკთან) შეცვალა ბრძოლამ არსებობისთვის (ანუ ბრძოლამ ღმერთთან).

ღმერთმა შექმნა ადამიანი "ხატად თვისად", თუმცა სატანა ცდილობს დაიმსგავსოს იგი. ხოლო რით მთავრდება ღვთის მკვლელობა და ღმერთთან ბრძოლა, ყველასთვის კარგადაა ცნობილი იუდას მაგალითზე. ღვთის მგმობი ადამიანი საშინელ ნიჰილიზმსა და სასოწარკვეთაში ვარდება, რაც საწინდარია თვითმკვლელობისა, ხოლო ღვთის მკვლელობა საკუთარი პირველხატის მკვლელობაა.

***

დასავლეთი ქადაგებს ჰუმანიზმსა და დემოკრატიას მთელს მსოფლიოში, ერთი შეხედვით მომხიბვლელია მათი იდეალები, კოლონიებად ქცეული და შევიწროებული აღმოსავლეთის ქვეყნები მიისწრაფიან მათი "სამაგალითო" ყოფისკენ. ევროპიზაცია, დასავლურ კულტურასთან ზიარება, დიდ პროგრესად ითვლება და, სამწუხაროდ, ამა თუ იმ ერის ცივილიზებულობის საზომიც კი ხდება ხოლმე.

ამგვარი საშიშროების წინაშე დღეს ქართველი ერიც აღმოჩნდა. დასავლური ყოფის თვალისმომჭრელმა ბრწყინვალებამ ამ ტრადიციულ და ცივილიზებულ ერშიც კი ჰპოვა თავისი გავლენა. კომუნისტური რეჟიმის მიერ საგანგებოდ შექმნილმა და რუსული კულტურით ნასაზრდოებმა ინტელიგენციამ თავიანთ შვილებს ახალი, დასავლური ორიენტირები შესთავაზეს. ელიტარული წრეების საკომუნიკაციო რუსული ენა ინგლისურმა შეცვალა. ტრაფარეტებზე რუსული წარწერები - უცხოურმა.

ქუჩებში საგანგებოდ გამოკრული კომუნისტური ლოზუნგები - იაფფასიანმა საზღვარგარეთული ნაწარმის რეკლამებმა; "მზიურ საქართველოში" სტუმრად ჩამოსული რუსი ინტელიგენტები - უცხოელმა ბიზნესმენებმა, ასე შეცვალა რუსული მენტალიტეტი და დაიწყო დამკვიდრება პრო-დასავლურმა ორიენტაციამ, და მას განვითარებისთვის მეტად ნოყიერი ნიადაგიც დახვდა. ამას დაემატა პრესა და ტელევიზია, რომელიც მასობრივი თუ ინტელექტუალური პროპაგანდით ხელს უწყობს მის დმაკვიდრებას. განსაკუთრებით სახიფათო სახეს იღებს ამგვარი პროპაგანდა მაშინ, როდესაც ეს მომხიბვლელი და მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებული ხელოვნების ნიმუშების მეშვეობით ხორციელდება.

ფარულად შემოდის ჩვენში და მკვიდრდება ის, რაც თვით დასავლეთშიც კი მიივიწყეს. ასე რომ, დრომოჭმული დასავლური პროგრესის მიღწევები (პროსტიტუცია, ნარკომანია და ძალადობა), რომელსაც თავისუფლების სანაცვლოდ გვთავაზობენ ახალი მსოფლიო წესრიგის შემოქმედნი, მხოლოდ და მხოლოდ არაჯანსაღი და კატასტროფის წინაშე მდგარი საზოგადოებრივი ყოფის ყალბი პერეფრაზია.

***

დღეს ჩვენში დასავლურ ყოფას ბევრი შენატრის. საკუთარ ერსა და სამშობლოს შეგნებულად მოწყვეტილი ახალგაზრდები ბედს უცხო ქვეყანაში ეძიებენ. ვინც გაქცევას ვერ ახერხებს, ცდილობს აქვე შეიქმნას ნანატრი ქვეყნის ილუზია. ბევრს ჰგონია, რომ დღეს დასავლეთი მაძღარია, მას არავინ ემება, რომ იქ სოციალური პრობლემები არ არსებობს, ერთი სიტყვით, დასავლური ყოფა მიწიერი სამოთხის მოდელია, ამიტომ იქ ყოფნას ან ამ სამოთხესთან ზიარებას არაფერი ჯობს. მართლაც, ერთი შეხედვით ეს ასეა. იქ მხოლოდ ორი პრობლემა არსებობს - როგორ იშოვო ფული და როგორ გაერთო. მაგრამ იქ არ არსებობს მაღალი იდეისთვის გვემა და თავგანწირვა.

საყოველთაოდ გამეფებული ნიჰილიზმისა და პრაგმატიზმის გარემოში, ღვთის მკვლელი და ღვთისგან მიტოვებული ადამიანები ამქვეყნიურ განცხრომას მისცემიან და არც კი აღელვებთ ის, რომ მის ერს, მის სამშობლოს განსაცდელი აღარ ემუქრება, რაც ნიშანია იმისა, რომ ანტიქრისტეს ზეობის ჟამია, ხოლო ჟამთა ისინი კარგა ხანია მიატოვა.

***

ჩვენს ცნობიერებაში ყალიბდებოდა მტრის ხატი - რუსეთის იმპერია თავისი ყველა მოდერნიზებული სახით. იმდენად ძლიერია ჩვენში განცდა იმისა, რომ ამ მტერს დავაღწიოთ თავი, რომ არც კი ვფიქრობთ, ვის კლანჭებში შეიძლება აღმოვჩნდეთ. აპოკალიფსურ მხეცს მრავალი თავი აქვს. ერთს რომ წააჭრი, როდი ნიშნავს იმას, რომ მხეცი დაამარცხე. მითუმეტეს, როდესაც ნათლად ხედავ, რომ ეს თავები ერთი სხეულის კუთვნილებაა. ასეთივე ახსნა აქვს დღეს იმასაც, რომ დასავლეთი თითქოს ცდილობს გაემიჯნოს რუსეთის სისხლიან პოლიტიკას; მაგრამ ფაქტი ერთია - რუსეთიცა და დასავლეთიც ერთი და იმავე - მსოფლიოს დაპყრობის იმპერიალისტურ გეგმას ახორციელებენ. ამასვე მოწმობს 9 მაისს მოსკოვში მოწყობილი მათი თავყრილობაც. რუსეთი ზეიმობს ფაშიზმზე გამარჯვების ორმოცდამეათე წლისთავს მაშინ, როდესაც უსასტიკესი მეთოდებით უსწორდება თავისუფლებისთვის მებრძოლ ჩეჩენ ხალხს. და ამ ქვეყანაში გამართულ საზეიმო ცერემონიალს ფონს უქმნიან დასავლური დემოკრატიის ელიტარული წარმომადგენლები, რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთი წარმატებით რუსული იმპერიალიზმი დღესაც დასავლური დემოკრატიის მხარდაჭერით ხორციელდება.

***

მრავალსაუკუნოვანი პროპაგანდა იმისა, რომ მსოფლიოს სჭირდება პატრონი, რომ მცირე ერები დაიღუპებიან "უფროსი ძმის" დახმარების გარეშე, გვაფიქრებინებს, რომ მსოფლიო იმპერიალისტური ძალები ძველის სანაცვლოდ გვთავაზობენ ახალ სტერეოტიპებს. ამგვარი მოდელის მიღება სათავეშივე უსპობს ერსა და ქვეყანას ინდივიდუალური განვითარების ყველა გზას და უქმნის "საერთო მსოფლიო სიცრუესთან" იდენტიფიცირების საშიშროებას, რაც საბოლოო ჯამში ეთნიკური და მორალური გადაგვარების საწინდარია.

მაგრამ გვაიმედებს ის, რომ ქართველი ერი თავისი ბუნებიდან გამომდინარე საბოლოოდ არასოდეს ითვისებს მისთვის არაორგანულ ტენდენციებს. ეს ისტორიამ არაერთხელ დაადასტურა და ამის ნიშანია ისიც, რომ დღესაც ქართველ ერს მამხილებლის ფუნქცია აკისრია.

***

სულის უკვდავების იდეამ, სულის გადარჩენისთვის ბრძოლამ და თავგანწირვამ მე-20 საუკუნის მიწურულს განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა და რაოდენ ბედნიერია ერი, ვისაც ამ იდეისთვის თავდადებული ადამიანი ჰყავს, რომელსაც შეუძლია იცუროს დინების საწინააღმდეგოდ, როგორც კალმახმა და არ გაჰყვეს მკვდარი თევზების ხროვას, ვისაც ხელეწიფება უკომპრომისოდ დაუპირისპირდეს მთელი ქვეყნის ბოროტებას, ვისაც ძალუძს არ იყოს ხილული, მაგრამ იყოს ყველგან.

ქეთევან ქურდოვანიძე.

**შენიშვნა:**

"უკვდავების ჩურჩული" - ტომას სტერნზ ელიოტის ცნობილი ლექსი, სადაც ელიოტი აღნიშნავს, რომ მეოცე საუკუნეში უკვდავების იდეა სადღაც შორიდან, ჩურჩულით მოისმის.

# ღრუბლებიდან მომავალი მზე

**ამ მხატვრულ სახეს თუშურ ხმით ნატირლებში ვხვდებით. თურმე, როცა კაცი მოკვდებოდა და ფეხმძიმე ცოლს დატოვებდა, მისი შვილის დაბადებას ისე ელოდნენ, როგორც ღრუბლებიდან მზის გამონათებას...**

"მხოლოდ ერთი რამ გვასულდგმულებს, ჯერ მოვკვდეთ .რადაროცა კვლავ არის მკლავში ძალა, გულში იმედი." - წერდა ახალგაზრდა პოეტი, გიორგი ქადაგიძე. ის და მისი მეგობრები მაშინ სიკვდილზე არ ფიქრობდნენ. თამამად, ლაღად დააბიჯებდნენ ქართულ მიწაზე და გულით ლამაზ ოცნებებს დაატარებდნენ. ამ შინაგანი სიძლიერით სავსე სტრიქონების მიღმა, რაღაც ტრაგიკული წინათგრძნობაც იკითხება, ახალგაზრდა კაცის აღელვებული, დაძაბული . სახის ნაკვთები მოჩანს.

... გიორგი ქადაგიძე 1942 წელს დახვრიტეს, მარტის თვეში...

ფილოსოფიის გამოცდიდან გაიყვანეს.

ბევრ ასეთ სახელს ინახავს ჩვენი საუკუნის ქართული ეროვნული მოძრაობის ისტორია. მას ჩქმალავდნენ, ამახინჯებდნენ, აყალბებდნენ. ჭეშმარიტ გმირთა ნაცვლად, ცრუ გმირთა სახელებს გვინახავდნენ. ამიტომაცაა, რომ ასე ცოტა რამ ვიცით საქართველოში 1942 წელს წამოწყებულ წინააღმდეგობის მოძრაობაზე, შეთქმულების მონაწილეებზე, "სამანელთა" ტრაგიკულ ბედზე.

იმ დროს, როცა ათასობით ქართველს ერეკებოდნენ დამპყრობლის ლაშქარში, უცხო მიწაზე სისხლის დასაღვრელად, როცა თითქმის, მთელი ქვეყანა ჩაბმული იყო იმ საშინელ ომში, . არსებობდა სხვა საქართველოც, რომელიც უარს აცხადებდა დამპყრობლის ლაშქარში ბრძოლაზე, თავად დამონებული და პატივაყრილი - ვერ იცლიდა სხვის ბრძოლებში ხმლის ქნევისთვის, სისხლისგან დაცლილს, ჭკუაში არ უჯდებოდა სხვისი მიწისთვის სისხლის ღვრა... საქართველოს თანამდევი, უკვდავი სული, მაშინაც, იმ საყოველთაო წყვდიადშიც ელვარებდა, სამშობლოსთვის ბორგავდა, წუხდა და ვაებდა. ამ საქართველოს თავს ალექსანდრე ბატონიშვილისა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის აჩრდილები დასტრიალებდნენ.

1942 წლის წინააღმდეგობის მოძრაობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფურცელია ჩვენი ქვეყნის ისტორიაში-ტრაგიკული, ტკივილით სავსე. ჯერ კიდევ ბევრი რამაა უცნობი ამ მოვლენის შესახებ. არაერთი ფაქტი ელოდება გამომჟღავნებას. ამ შეთქმულების მონაწილეთა პოლიტიკურ მისწრაფებებს, მათი ბრძოლის ჭეშმარიტ არსს წლების მანძილზე საგულდაგულოდ ამახინჯებდნენ კომუნისტური რეჟიმის იდეოლოგები. ეს სახელები ნელ-ნელა, გაჭირვებით იკაფავდა გზას შთამომავლობისკენ. კოტე ხიმშიაშვილი, გიორგი ძიგვაშვილი, გიორგი იმერლიშვილი, ფანცალა იმედიძე, მიხეილ საბაშვილი, ლადო ბალიაური, მიხეილ კაციტაძე, დიმიტრი ბურდიაშვილი, თურმან შანშიაშვილი... მათ არ აპატიეს სამშობლოს სიყვარული, არ აპატიეს დამპყრობლის ლაშქარში ბრძოლაზე უარის თქმა, არ აპატიეს ის, რომ საქართველო არ ემეტებოდათ სხვათა ბრძოლებში გასათელად.

"საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა უნდა ყოფილიყო და არა ვინმეს ვასალი-ო" - განუცხადებია დაკითხვაზე კოტე ჯოგლიძეს. თავისუფლებაზე ფიქრი კი მაშინ ულმობლად ისჯებოდა. 1942 წლის შეთქმულების მონაწილეებს ისევე, როგორც საქართველოს თავისუფლების კომიტეტის წევრებს, სამანელებს, სწორედ ეს იდეა ამოძრავებდათ. ეს იყო მათი მოქმედების საფუძველი. თუკი გერმანელები კავკასიონს გადმოლახავდნენ, უნდა დახვედროდნენ მათ, როგორც დამოუკიდებელი, თავისუფალი სახელმწიფოს წარმომადგენლები, და არა რუსეთის იმპერიაში შემავალი ერთერთი პროვინციის შვილები. იმედოვნებდნენ, რომ ამით იხსნიდნენ ქვეყანას აოხრებისგან. სახელმწიფოს მოწყობის გეგმაც შემუშავებული ჰქონდათ, დემოკრატიული წყობილების დამყარებაზე ოცნებობდნენ, კ.ხიმშიაშვილს საქართველოს ისტორიული საზღვრების აღდგენის იმედიც გაუჩნდა, ქვეყნის ეკონომიკური მოწყობის მოდელიც შემუშავებული ჰქონდათ; - "საქართველოს აქვს საამისო მატერიალური ბაზაო", მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობის პრობლემაზეც ლაპარაკობდნენ, მენშევიკური მთავრობის მიერ დაშვებულ შეცდომებს აანალიზებდნენ, მომავალი ეროვნული მთავრობის შექმნაზეც ფიქრობდნენ, ინგლისთან ურთიერთობის დამყარების მიზანშეწონილობაზეც მსჯელობდნენ; ხშირად ეწვეოდნენ ხოლმე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა ერეკლე ტატიშვილსა და მიხეილ ზანდუკელთან ჰქონიათ, ორგანიზაციის სტრუქტურის ჩამოყალიბებაზეც ბჭობდნენ... ფრთხილად, გონივრულად მოქმედებდნენ, ... მაგრამ შეთქმულება გასცეს; ახლა, უკვე, ყველასთვის ცხადი იყო, რომ სასჯელი არ ასცდებოდათ. ბევრს შეეძლო ტყისთვის შეეფარებინა თავი, თუშეთის მთებში სამანელები ეგულებოდათ... მაგრამ არა... ეს მათი ხვედრი იყო და თითოეულ მათგანს შეგნებული ჰქონდა მისი გარდუვალობა. მოსახდენი უნდა მომხდარიყო. შეთქმულების ყველა მონაწილე დააპატიმრეს. 17 მათგანს დახვრეტა მიუსაჯეს, დანარჩენები - გადაასახლეს.

ლეგენდასავით შემორჩა ერთი ამბავი: როცა კოტე ხიმშიაშვილი დასახვრეტად გაუყვანიათ, ჯარისკაცებს - ვერ მოუხერხებიათ სროლა, ისე თავაწეული, ამაყად მშვიდი სახით შემოსცქეროდათ, თურმე, განსასჯელი. განრისხებულ ოფიცერს თავისი ხელით დაუცხრილავს იგი.

ასე თავაწეულნი, ღიმილით, ზოგიერთისთვის გაუგებარი სიმშვიდით ეგებებოდნენ სიკვდილს შეთქმულები. დაჭრილმა ლადო ბალიაურმა სარკე მოითხოვა - უნდა ვნახო, შეშინებული სახე ხომ არა მაქვსო. შვებით ამოისუნთქა, თურმე, სარკეში რომ ჩაიხედა. ღიმილით შეხვდა სიკვდილს.

მათ ოცნებას განხორციელება არ ეწერა. ამ საბჭოური რეპრესიებით გაწამებული ოჯახების შვილებს არ შეიძლებოდა წინასწარ არ ეფიქრათ ამის შესახებ, არ შეიძლება გუმანით არ ეგრძნოთ, რას უმზადებდათ უბოროტესი საბჭოთა სისტემა. მაგრამ მათ ფიქრებს ბარათაშვილისეული "განწირულის სულისკვეთება" ასაზრდოებდა. სწორედ იგი არ ანებებდა შეჰგუებოდნენ სიბნელეს, ბოროტებას, არ აძლევდა მშვიდად ყოფნის უფლებას, ის უბორგებდა მათ სულს და სინამდვილისადმი შეურიგებლობისკენ, დაუმორჩილებლობისკენ უბიძგებდა. ეს სულისკვეთება სულ სხვა თვალით ანახვებდა მათ სამყაროს, სულ სხვა საზომით აზომვინებდა ვაჟკაცობას, ნამუსს, ღირსებას. ამ სულისკვეთების ბეჭედი აზის მათ გრძნობებს, განცდებს. "-მოიკითხე ისინი - მე მათ გამზარდეს და უბედური გამხადეს"- სწერდა მშობლიურ მიწაზე ტკივილამდე შეყვარებული კოტე ხიმშიაშვილი ერთ თავის ახლობელს...

- "ჩემი შენდამი სიყვარული იყო განუსაზღვრელი" - ვკითხულობთ გიორგი იმერლიშვილის მიერ მეუღლისადმი მიწერილ წერილში...

- "მე მივხვდი ცხოვრების საიდუმლოებას - ეს არის სიყვარული. მე მწამს სიყვარული, მე მიყვარს სიყვარული" - ჩაუწერია მიხეილ საბაშვილს თავის რვეულში...

მათ სხვაგვარი სიყვარული, სხვაგვარი მეგობრობა იცოდნენ... "ასე უყვარდათ საქართველოში"...

"ვკვდები მიზანმიუღწეველიო". - მწარედ ამოთქვამს გ.იმერლიშვილი. ეს ფიქრი გაჰყვა მას ამ ქვეყნიდან. ბედისწერამ იგი ერთხანს ფრონტის ხაზზეც გადაისროლა-როცა იძულებული გახდა, საქართველო დაეტოვებინა, - შეთქმულების გამჟღავნების შემდეგ. იქაც მიაგნეს. სუკის თანამშრომლებმა თბილისში ჩამოიყვანეს...

წინააღმდეგობის მოძრაობა 1942 წელს თუშეთსაც მოედო. პირველი ორგანიზაცია იქ გიორგი ქადაგიძემ შექმნა. მისი დაპატიმრების შემდეგ კი ადამ ბობლიაშვილმა გაშალა სამანური მოძრაობა. ("სამანი" - საქართველოს აყვავებისთვის მებრძოლი ნაციონალისტური ორგანიზაცია) სიცოცხლეშივე ზღაპრული საბურველით შეიმოსა მისი სახელი. მის ლექსებს დღესაც მღერიან თუშეთში. უნაპირო სევდა და ტკივილი ახლავთ ამ სიმღერებს.

საშინელ აღსასრულს უმზადებდა ადამს ბედისწერა. თორღვას ხეობაში მოუსწრო სიკვდილმა. მეგობარი დაუჭრეს თვალწინ. თურმე არავის არ ამოეფარა, დაჭრილს მივარდა-ეგებ გადავარჩინოო. ზედ დაჰკლეს თავის მეგობარს. ტყვიით დაცხრილულს - თავი მოჰკვეთეს. შეთქმულების ერთ-ერთი მონაწილე - სოლომონ თევზაძე იგონებდა, როგორ ჩამოატარეს ურმით იყალთოში ადამ ბობლიაშვილისა და კიდევ ერთი სამანელის-ფანცალა იმედიძის მოკვეთილი თავები.

... თუშეთში კი ჰაერს აპობდა დედის მოთქმა:

"ავაიმე, წვერაიძეო,
შვილ რად მომიკალივა"...

... "სისხლი შეერია თუშეთის მთვარეს"...

ტრაგიკულად დასრულდა შეთქმულთა სიცოცხლე. მათ სახელებს შიშით წარმოსთქვამდნენ, ივიწყებდნენ, დუმილით უვლიდნენ გვერდს.

... არადა, ეს ჩვენი ქვეყნის ჭეშმარიტი ისტორიაა-სისხლით, ცრემლით სავსე ისტორია, რომელიც გაუძლებს დრო-ჟამს; მიუხედავად ყოველგვარი წინააღმდგეობისა, დამალვისა, გაყალბების მცდელობისა - გადაჰყვება საუკუნეებს. ისტორია, რომელიც თაობებს ჭეშმარიტ გმირთა სახელებს შემოუნახავს. ისტორია, რომელიც არ მოგვცემს დამშვიდების, გაჩერების, დაძაბუნების უფლებას, სანამ საქართველო დაპყრობილი გვეგულება, სანამ განუხორციელებელი იქნება ის ოცნება, რომელსაც სათუთად დაატარებდნენ გულით ჩვენი მამები.

შეთქმულთა და სამანელთა დაბრუნება. საქართველოს ტკივილის, სიმძიმილის და სიამაყის დაბრუნებაა.:. ის ლამაზი ბიჭები, დავიწყებას რომ დააღწიეს თავი და მოვიდნენ ჩვენთან, როგორც "ღრუბლებიდან მომავალი მზე".

... თუშეთის ამწვანებულ ბილიკებს მხედარი მიუყვება-იარაღასხმული, გაშლილი მხრებით,... არწივივით მოავლებს თვალს არემარეს და ფოთოლთა ჩურჩულს თავის ნაღვლიან სიმღერას შეურევს:

"ფრიალოებო, მიამბეთ რამე,
ჯიხვთა ბილიკებს თუ გადავურჩი,
ნაბდად დამხურეთ თუშეთის ღამე,
ქვეშ დამიფინეთ ცვრიანი ქუჩი."

**ელისო ნიჟარაძე**

---

# უსამართლობის ზეიმი საქართველოში

თავისი უკანასკნელი ვიზიტის დროს ლონდონში, საქართველოს სახელმწიფო მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება ვალდებულებებზე კანონისა და სამართლიანობის წინაშე. მაგრამ ჩვენ, ვისაც უკვე მოსმენილი გვაქვს შევარდნაძის ამგვარი ღვთისნიერი დაპირებები სამი წლის წინ, მისი ჩამოსვლისთანავე საქართველოში, როცა მან ძალაუფლება ჩაიგდო ხელში, უკეთესობას ვერ ვამჩნევთ ამ სფეროში. პირიქით, N 7493810 სასამართლო პროცესი, რომელიც სულ ახლახან დასრულდა, ცალსახად ადასტურებს, თუ რაოდენ შორს დგას ყოფილი საბჭოთა კავშირის ეს რესპუბლიკა სამართლიანობისა და კანონის ზოგადი ნორმებისგან.

სასამართლო განაჩენი მოიცავს ბრალდებებს 17 ადამიანის მიმართ, რომელთაც ბრალი ედებათ სხვადასხვა დანაშაულობების ჩადენაში, შევარდნაძის საქართველოში დაბრუნებიდან სულ რამდენიმე თვის განმავლობაში. საფიქრებელია, რომ როგორც ზვიად გამსახურდიას ყოფილი მხარდამჭერები, ისინი მოსახერხებელ სამიზნედ გადაიქცნენ ახალი ხელისუფლებისთვის.

მათ ბრალად ედებათ როგორც სერიოზული დანაშაული (შევარდნაძესთან დაახლოებული ერთ-ერთი პირის მკვლელობის მცდელობა), აგრეთვე სულ უბრალო დანაშაული - წვრილმანი ქურდობა (სუნამოს მოპარვა). მაგრამ ის წინააღმდეგობრიობა, რომელიც ამ შემთხვევაში გვხვდება თვალში, უფრო მეტად საქართველოს ხელისუფლების და სასამართლოს დაუდევრობის შედეგია, ვიდრე უბრალო იურიდიული კაზუსი.

სასამართლოს მთელი მსვლელობა დარღვევებით მიმდინარეობდა 17-დან 10 განსასჯელი საერთოდ არ ესწრებოდა პროცესს. ერთ-ერთი განსასჯელი, ზაზა წიკლაური "ერთი-ორჯერ" თუ ნამყოფი თავის საკუთარ პროცესზე.

ხელისუფლება იმით იმართლებს თავს, რომ ბრალდებულები პროცესზე არამართლზომიერად იქცეოდნენ. ამგვარ საქციელს, როგორც ჩანს, მართლაც ჰქონდა ადგილი - წიკლაური გააძევეს "სულელური ღიმილის" გამო, სხვები კი იმისთვის, რომ ზურგი შეაქციეს მოსამართლეს. არავითარ სხვა არამართლზომიერებას ადგილი არ ჰქონია.

პატიმრებს, აგრეთვე, უარი ეთქვათ ადვოკატების სურვილისამებრ არჩევის თაობაზე. იმათაც კი, ვინც თვითონ სასამართლომ დანიშნა, ხშირად აძევებდნენ დარბაზიდან, ასე რომ, ადვოკატები დაკითხვებშიც კი ვერ იღებდნენ სათითაოდ მონაწილეობას.

ყოველივე ეს ეწინააღმდეგება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მოთხოვნებს, რომლის თანახმად მსჯავრდებულთა დასწრება პროცესზე აუცილებელია და მათ აქვთ უფლება თავისი სურვილისამებრ აირჩიონ ადვოკატი.

## კრისტინ სტოუნი

1992 წლის ოქტომბერში მე შევხვდი ბატონ წიკლაურს თბილისის ცენტრალურ ციხეში.ის არაჩვეულებრივად გამხდარი იყო და მხოლოდ ყავარჯნების მეშვეობით დადიოდა.

ბატონი წიკლაური თითქმის არ რეაგირებდა ჩემს შეკითხვებზე და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს საკუთარი სახელის და გვარის გახსენებაც კი უჭირდა.

ცნობა იმის შესახებ, რომ წიკლაური სასტიკად იყო ნაწამები საქართველოს საიდუმლო სამსახურის უფროსმა გაავრცელა. იგი ტელევიზიით გამოვიდა ამის თაობაზე.

ჩვენი შეხვედრისას წიკლაურმა უარი განაცხადა გამოკვლევაზე, მაგრამ დაგვთანხმდა ეჩვენებინა იარები დამწვრობებისგან და მარჯვენა და მარცხენა ფეხი, რომელიც არასწორად იყო შეხორცებული. მოგვიანებით ჩვენ შევიტყვეთ, რომ წიკლაურს მთელ სხეულზე ჰქონდა იარები, მაგრამ მაშინ შეეშინდა ჩვენთვის მათი ჩვენება.

ამ ცოტა ხნის წინ, მას შემდეგ, რაც ჰელსინკის ჯგუფის ექიმებს უარი ეთქვათ მოენახულებინათ თბილისის ციხე და მხოლოდ ციხის საავადმყოფოში შესვლის უფლება მიეცათ, წიკლაურმა ბატონებს რუქსა და პალმერს უამბო თავისი პატიმრობის დეტალები: "სუკში მიყვანისთანავე მაწამეს. სხვადასხვა მეთოდებს იყენებდნენ. ერთ-ერთია ადამიანის დამდუღვრა ადუღებული წყლით. პატიმართა 90 პროცენტისთვის ცნობილია ასეთი წამება: ადამიანს ხელებს ზურგს უკან უკრავენ თავდაყირა კიდებენ ხის ძელზე ორ მაგიდას შორის და ტერფებზე სცემენ ხელკეტით. მიუხედავად იმისა, რომ ტერფებზე გირტყავენ ისეთი შეგრძნებაა, თითქოს თავში გცემენ. დიდხანს ამის გაძლება შეუძლებელია, გული მიგდის. მერე წყალს გასხავენ, გასულიერებენ და თავიდან გცემენ...

მეორე პატიმარმაც - ნემო ჭანტურიამ, რომელიც შარშან გაასამართლეს მსგავს პროცესზე, თავისი ისტორიაც გვიამბო: "მცემდნენ მათრახით, მირტყამდნენ ავტომატის კონდახით, ეს ხდებოდა შეუსვენებლად. მოგვიანებით სხვა შენობაში გადამიყვანეს ე.წ. შევარდნაძის კორპუსში. აქაც განუწყვეტლივ მცემდნენ, აწარმოებდნენ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზეწოლას." ბატონმა რუქმა ორივე პატიმარს სხეულის მძიმე დაზიანებები აღმოუჩინა დამწვრობების და მოტეხილობების ჩათვლით.

ყველა სხვა ბრალდებული, რომელიც ამ პროცესში მონაწილეობდა, ადასტურებს წამებისა და ფიზიკური ზეწოლის ფაქტებს, მათზე ზემოქმედებას ახდენენ ყველა ინსტანციაში. ფიზიკურ დაზიანებათა შორის გვხვდება გატეხილი ცხვირი, ცემის შედეგად სმენის დაქვეითება, ფრჩხილების დაძრობა, კბილების ჩამსხვრევა. ბატონი დოკვაძის შვილებს აშინებდნენ და ემუქრებოდნენ მამის თანდასწრებით. ყოველივე ამის შემდეგ, სულაც არ არის გასაკვირი, რომ ჩვენებები უპრობლემოდ იქნა მიღებული, ის უფრო საოცარია, რომ შემდგომ გაბედეს და უკან წაიღეს თავისი ჩვენებები.

ზოგიერთი პატიმარი აცხადებს, რომ მათზე განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენდა ვინმე ჩოგოვაძე, პატიმარი, რომელიც აღებდა ნებისმიერ კარს, დაუსჯელად შედიოდა სხვების საკნებში და სცემდა პატიმრებს. ტუსაღებზე ამგვარი ზემოქმედების პრაქტიკა ოდითგან არსებობდა საბჭოთა კავშირის ციხეებში, ამის შესახებ მეტად ხატოვნად მოგვითხრობს სოლჟენიცინი თავის "გულაგში".

ბატონების: გელბახიანისა და დოკვაძის ბედი, რომელთაც სიკვდილი აქვთ მისჯილი, დღეს საქართველოს მეთაურის ხელშია. ეს სულაც არ არის დამაიმედებელი, რადგან შევარდნაძემ თავის საჯარო გამოსვლებში არაერთხელ მოიხსენია ისინი "ტერორისტებად".

მთელი ეს უსამართლობა, რომელიც საქართველოში ხდება, დასავლელი დიპლომატების ყურადღების მიღმა რჩება, რომლებიც ძველი ინერციით შევარდნაძის ერთგულნი რჩებიან. რა კარგი იქნებოდა, რომ საქართველოში ისეთი ქვეყნის საელჩოს, როგორიცაა ამერიკა, რომელიც მთელ მსოფლიოში დემოკრატიისა და ცივილიზაციის საყრდენად ითვლება, ერთი პროტესტი მაინც განეცხადებინა ამ საქმის გამო. მაგრამ არა. ჩვენი დამკვირვებლები მხოლოდ გულგრილობას წააწყდნენ მათი მხრიდან ნატანჯი პატიმრების მიმართ.

მცირედი სინათლე მაინც გამოჩნდა ჰორიზონტზე -. ვენაში ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის კომისია იხილავს ამ პროცესს. მოგვიანებით ევროკავშირის სხდომაც არის დანიშნული.

მანამდე კი დასავლეთის მთავრობებს აქვთ შესაძლებლობა თავისი ერთგულება დაადასტურონ საკუთარი ხელშეკრულებების მიმართ ადამიანის უფლებათა დარგში და მოსთხოვონ შევარდნაძეს იცხოვროს იმ კეთილი სიტყვების თანახმად, რომელსაც სხვების გასაგონად წარმოსთქვამს ხოლმე კანონისა და სამართლიანობის მისამართით.

**"უოლსტრიტ ჯორნალ"**
**1995 წლის 22 მარტი**

# TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA) N11 (1995) in brief

## Witnesses Faint at the Trail

As it comes out at the current Court hearing of Shurgaia-Otkhozoria's Case the great majority of the witnesses do not know anything about the defendants. In the course of preliminary investigation they have never been told that they were interrogated in relation to Shurgaia-Otkhozoria's Case. One of the witnesses even fainted when the judge read his testimony given in the course of investigation and the Prosecutor had to take care of him. The question whether Chechens were in Zugdidi becomes more and more persistent at the trail.

On May 12, 1995 the resident of Zugdidi, a bus driver Karlo Pipia appeared before the Court as a witness. He told the Court how he was stopped by 5 armed persons at the former Commandant's Office on November 5, 1993 while driving the bus. Of those three entered the bus. "They were not Georgians, they were speaking Russian, - continued the witness. - You should take us to Gali, if you refuse we shall take your bus". He told how they first arrived to Gali, then to Ochamchire and then how on their way to Sukhumi the bus was broken. The bus stealers put Pipia into the car and took him to Enguri Bridge while leaving the bus with them.

When answering the question of the judge the witness stated that when they were crossing Enguri Bridge it was not controlled by Georgian party, while on the other end of the bridge they were met by Abkhazian picket.

When judge asked whom the witness informed about his been taken to Abkhazia and stealing of the bus Mr. Pipia answered: "There was nobody in Zugdidi. I informed the head of the enterprise Murman Jabua and head of police department Kukuri Adamia who told me - if we manage to bring back your bus we shall return it to you, anyway we have put this information into computer".

The lawyer Navrozashvili asked the witness whether he was informed during his interrogation at the Prosecutor's Office that they were taking his testimony in relation to Shurgaia-Otkhozoria's Case.

"Nobody has ever told me anything. I have heard about it for the first time when I got the summons saying that I was to act as a witness at their trail in Tbilisi" - stated Mr. Pipia. "Provided you have been told about it what would you have answered?" "I would have answered that I do not know either of them and have nothing to say about them" - answered the witness.

The member of the Supreme Council Mr. Bidzina Dangadze called as a witness stated that he knew Valter Shurgaia as one of the outstanding representatives of national movement who had experienced the repression of the Soviet system in his youth and he by no means considered him as a traitor, on the contrary, he considered Shurgaia as a true patriot. As for Otkhozoria, he did not know him personally, but had heard many good words about him.

In contrast with indictment Mr. Dangadze qualified the events of December-January, 1991-1992 not as a military conflict but as a coup inspired from outside which was aimed at territorial disintegration of Georgia and loss of its independence.

When asked whether there were Chechen and Abkhazian boeviks in Zugdidi, Mr. Dangadze answered:"I have learned about it by TV, though I myself have never seen them.""By what TV?""By Tbilisi TV..."

***

At the same Session was interrogated the driver of Zugdidi Excursion Bureau Zurab Berdekhelia. According his testimony given in the course of the preliminary investigation in October, 1993 he was taken to the headquarters of the Guards by Zamir Gergedava and then was taken to Ochamchire by his bus and another bus which escorted them. From Ochamchire he brought to Zugdidi Chechen and Abkhazian boeviks, military technique ("Shilka", two armed recon vehs and ammunition). On his way back at Achigvara he happened to see "Vakhtang Kobalia and Guram Absandze, as well as guardsmen who had met the hired murderers with whistling and joy". He took the hired boeviks first to Zugdidi, then to Khobi and then to Senaki where they immediately joined in the battle. Then their leader was brought some letter. After having read this letter the hired boeviks were taken back to Abkhazia by the same bus.

When the judge I. Tkeshelashvili finished reading the testimony, the witness fainted and the session was temporarily ceased.

When the witness felt himself better and the Session was resumed, the witness Berdekhelia in answer to the very first question of the Prosecutor whether he was confirming his testimony desperately cried: "I was out of my wits then, they have searched me before..."

But the Prosecutor did not allow him to finish what he was saying, as if his words have had nothing to do with the problem, and persistently demanded "Concrete answer to the concrete question". The witness was keeping silence.

All was allowed by the most noteworthy scene played by the Prosecutor and Judge:"Prosecutor - Was this testimony written wrongly in the course of preliminary investigation? Have you experienced any pressure?""Judge - Everybody sees that neither Prosecutor, nor lawyers, nor judge impel the witness to say this or that. If the investigator forced you to give such testimony, just tell us and we shall punish him, we shall make statement and may be bring charge against him...""Prosecutor - ... If the testimony is not confirmed, then the witness becomes responsible."

Witness Berdekhelia - I confirm this testimony..."

After lawyer Goksadze's question it became clear that the above testimony was not read by the witness, that he was continuously interrogated during one week (they used to take him from his house and then return him back. At the same time the witness was made to give a written undertaking not to leave the place). Besides he was interrogated by various investigators in relation to one and the same issue. He was not offered to sign the interrogation protocols with the exception of the last one. It was found out also that besides the hired murderers Mr. Berdekhelia was bringing to Zugdidi refugees. But the Prosecutor showed no interest in this fact - he was so excited that often interfered with the dialog of the lawyer and witness for which he deserved not a single note from the judge.

***

On May 17 the deputy head of Zugdidi Police department Revaz Chikobava was interrogated as a witness. He was holding the same position in December, 1993 when was arrested Gocha Otkhozoria. Proceeding from the questions of the lawyer Navrozashvili his testimony was shaped in the following form:"On December 23 I was about to enter the study of the head of the Police Department Mr. Adamia when he himself came out of it and told me that in his study was sitting Otkhozoria for whom he had an arrest warranty. Though I was heading the operating service I have not known anything about the existence of warranty for Otkhozoria's arrest. I entered the study and saw the Prosecutor's warranty on the table of Adamia, but I did not look through the charges. I offered Gocha to return the arms. He took out the gun of "Makarov" system and put it on the table, then he showed me a grenade and put it on the table too. Then Adamia and three other policemen entered the study.

Up to this moment interrogation proceeded very smoothly, but the subsequent questions such as why the Protocol of Otkhozoria's detainment was called the Search Protocol, why they did not call witnesses as it is required by the Law - confused Chikobava, while the question: "You are a lawyer are not you? Then you must be well aware of the difference between the search and detainment is not it so?" - caused significant excitement of the witness.

The list of the accusations with which was charged Otkhozoria was read at the Court Session. The charges included terrorism, banditism, hindering the displacement of the refugees from Abkhazia etc. As it turned out the head of operative service R. Chikobava did not have any materials confirming participation of Otkhozoria in the above crimes. Neither had he heard anything about it. In accordance with the witness they met each other in Tamish, Ochamchire, Gali and he knew that Otkhozoria was bravely fighting in Abkhazia and had a reputation of the excellent warrior.

In accordance with the preliminary testimony of the defendant he did have the permission to wear the weapons which were taken away from him in the course of serach in the presence of the witness Chikobava and then disappeared. The fact of search was confirmed by the witness Sordia, a policeman, who was present at the hall of Court Session. He named four persons who were carrying out the serach. Among those were Adamia, Chikobava and Kvitatian.

In answer to the Prosecutor's question who exploded various objects the witness named Navroushvili's group. When asked whether Otkhozoria's detachment was fighting against the governmental Army the witness answered that such facts were completely unknown to him.

## Materials of Investigation Are Lost

On May 12 the hearing of the so called "Z. gamsakhurdia's and his Supporters' Case" was resumed for two defendants: "cured" Omar Kochlamazashvili and Zurab Bardzimashvili who at last appeared before the Court Board (Chairman Leri Sakvarelidze). It is noteworthy that the Prosecutor at this trial is N. Bezhitashvili who is already known to us from the so called "Kavsadze's Kidnappers' Case" where he represented the state prosecution and is retained in public memory for his pronounced aggressiveness.

After the opening of the session the Court Board allowed G. Khoshtaria presented by the Association for Human Rights to be a public defender. The the Court read the statement of the defendant Z. Bardzimashvili saying that the trial is another farce and the only reason of his participation in this performance staged by Shevardnadze was his wish to show in its true light the essence of this Case which was more than once qualified by the Head of the State as "Terrorists' Trial".

Bardzimashvili provided the Court with the detailed explanation: "My Case was separated from the Court hearing of "Z. Gamsakhurdia' and his Supporters' Case" on August 4 because of I had serious health [roblems. I was transferred to the Central Republican Hospital where I was kept in complete isolation in a locked ward. 13 days later I waskidnapped from the hospital and placein in jail. On the same day the KGB investigator Shavadze visited me and deamnded to give him testimpny concerning the previous uconfirmed testimony. I refused to give testimony. One month later the representatives of KGB came again with an appeal to transfer me to the KGB isolator. The prison doctorsdid not them the permission.

Mr. Chairman of the Court Board, you are well aware that I was taken from the prison to the trial of a certain Kvetenadze as a witness. Even during the investigation period I have never been interrogated about this Kvetenadze, neither did I give any testimony about him. However for some reasons unknown in KGB notes included in his Case I was mentioned too - Kvetenadze's Case was investigated by KGB, he was trialed by KGB, and suddenly I have learned that in the materials of that Case I am mentioned as an organizer. I appeal to you with request to present these materials as well. I also demand to inform me about the accusations signed by me in KGB and which presently are myseriously vanished in the thin air. By the way, the high rank officers of KGB were mentioning those very vanished cases in the newspapers. If you wish I can present the newspapers - I have them with me."

The judge L. Sakvarelidze expressed his surprise in relation of Bardzimashvili's taking to Kvetenadze's trial as a witness and noted that he was completely unaware of that fact. He had offered the following explanation of this fact: "In relation to Kvetenadze's case the Court was approached with official document asking the permission to interrogate the prisoner which was under our subordination. I gave such permission. I did not know that you were taken to the Court. If it really was so, nobody has the right to take you anywhere without my permission. I will undertake respective measures in response."

The judge stated that in the Case presented to the Court Board Bardzimashvili was charged with only three episodes, all other cases were not known to the Court Board.

Defendant Kochlamazashvili supported Bardzimashvili's motion and on his part demanded to be shown the protocols of Court Sessions beginning from September 12, 1994 when his case was separated from "Gamsakhurdia and his Supporters' Case".

At the end of the Session the lawyer Bekauri asked to be given the floor to make a remark: " It took us 8 months to at last achieve continuation of hearing of this Case which was separated from the major Case with rough violations of the Law. I appeal to you not to use the biasness of the Coart Board of the previous trial!".

## Nugzar Molodinashvili is Arrested.

On May 17, 1995 during the 3rd Republican Meeting of Georgian Helsinki Union which was held in the building of "Tsodna" Society the police detachment headed by high rank officers of the Municipal Department surrounded the building. Multiplicity of police forces initially made the participants of the Meeting to think that they arrived to frustrate the Meeting and perform mass arrests of the participants. However the policemen limited their actions by picketing of the square before the building and sending the spies into the hall. Later it became known that their leaders payed special attention to the member of the Supreme Council of the Republic of Georgia, member of Helsinki Union Board Mr. Nugzar Molodinashvili.

After the end of the Meeting, approximately at 9 p.m. Molodinashvili who left the building was making his way home was surrounded by the group of policemen who informed him that he was arrested. The arrested deputy was placed in the KGB Isolator of Preliminary Investigation irrespective of the fact that the Case is investigated by the Prosecutor's Office. The investigator Otar Japaridze informed the prisoner's family members that against him was brought a Criminal Case and he was charged with high treason, attempt of coup and organization of bandit formations. He also suggested the family to take a lawyer as soon as possible. As it became known to us the rights of Nugzar Molodinashvili in the course of the preliminary investigation will be defended by the lawyer J. Jakeli

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე

EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE

მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, საბონენტო ყუთი №227

Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia